გაზეთი ბოლოს, „ბოლოს“ ელით

ბოლოს

ფასი 50 თეთრი

№91 (986) 29 – 30 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ირაკლი ღარიბაშვილი

„ჩვენ გაცილებით ძლიერი სახელმწიფო ვართ, ვიდრე ოცი წლის წინ და უფრო ძლიერი, ვიდრე ორი წლის წინ!“

გვ. 5

მანქანები შეიძლება, 200 დოლარით გაიაფდეს

იმპორტის გადასახადი, მსუბუქი ავტომობილების გარდა, კიდევ 9 ათასზე მეტი დასახელების პროდუქციაზე გაუქმდა

გვ. 6

იტალიაში მცხოვრებ ქართველ მილიონერს, რომელმაც გივი თარგამაძეს მილიონი არ მისცა, ნაციონალებმა 30-წლიანი „სროკი“ მიარჭეს?!

გვ. 8

პატიმრის დღიური

რის თქმას ერიდება სოსო ჯაჭვლიანი

„რუსთავი 2“-მა სერიალით მეორე სუნთქვა გამიხსნა – ჩემი პოპულარობა გაორმაგდა. რამდენიც უნდათ, იმდენი მაგინონ და „მეკაიფონ“. თუ უნდათ, თავად გავუხმოვანებ და რამდენ სისულელესაც უნდათ, ვიდაპარაკებ“

გვ. 3

ზურაბ ხარაზიშვილი წინასაარჩევნო ბლოკების შექმნის აკრძალვას ითხოვს

რას უმზადებს არასაპარლამენტო ოპოზიცია „ოცნებას“

გვ. 7

დიდი ფულობა ქართულ ფეხბურთში

ის, რასაც ფეხბურთი ჰქვია, საქართველოში არ არსებობს

გვ. 6–7

„ჯორჯიან თაიმსის“ დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის ვაჟი კერძო დაცვის თანამშრომლებმა სცემეს

27 სექტემბერს, თბილისში, შარდენის ქუჩაზე, ბარ „სეიფში“ კერძო დაცვის სამსახურის რამდენიმე თანამშრომელმა ახალგაზრდებს სცემა. ნაცემებს შორის „ჯორჯიან თაიმსის“ დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის, ნანა გაგუასა და მალხაზ გულაშვილის ვაჟი, პაპუნა გულაშვილიცაა, რომლის ფოტოც სოციალურ ქსელში დედამ გამოაქვეყნა. როგორც ნანა გაგუა ამბობს, პაპუნა გულაშვილი მეგობრებთან ერთად, ბარში არ შეუშვეს, მას შემდეგ კი, რაც მან დაცვის თანამშრომლებს პრესბარათი აჩვენა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს:

„საღამოს საათებში, პატრულმა დამირეკა და მითხრა, თქვენ შვილს პრობლემა შეექმნაო. როცა ადგილზე მივედი, საპატრულო პოლიცია თითქმის სრული შემადგენლობით იქ დამხვდა. შევშინდი, რადგან თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ერთი შეუიარაღებელი ბავშვი, მეგობრებთან ერთად, ბარში არ შეუშვეს. დაცვის თანამშრომლებს მათთვის უთქვამს, „ფეისკონტროლი“ ვერ გაიარეთო. ჩემ შვილს ზრდილობიანად უპასუხია, ჟურნალისტი ვარ და იქნებ, ამის გამო მაინც შემიშვათო. მოგეხსენებათ, ჩვენ საქმიანობაში შვილების მუდმივად ჩართულნი იყვნენ. ახლაც ორივე შვილი „ჯორჯიან თაიმსის“ საიტზე მუშაობს. პრესბარათის დანახვაზე დაცვის თანამშრომლები უფრო გაღიზიანებულან, რას „ბლატაობ“, რომ ჟურნალისტი ხარ, ვის ემუქრებიო. როგორც ახლა ხშირად ამბობენ, გონივრული ეჭვი მაქვს, დაცვის თანამშრომლები ამ პრესბარათის გამოჩენამ უფრო გააბრაზა, რის შემდეგაც წრე შეუკრიათ და თითოეულს ერთად დაურტყია. ერთი მეგობარი გადაფარებია, რათა დარტყმა აერიდებინა. წინა ხელისუფლების დროს, ჩვენ შვილებზე ზეწოლას გამიზნულად ახორციელებდნენ. ახლა ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ, უბრალოდ, ჩემი შვილი გაუგებრობაში მოყვა, როგორც რიგითი მოქალაქე. საქმე ჩემს მისვლამდე უკვე აღძრული ჰქონდათ. როგორც ვიცი, დაცვის თანამშრომლებიც დაიკითხნენ, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს, თუ პატრულის თანამშრომლებმა იციან, რომ მოქალაქეს ფიზიკურად არ უნდა გაუსწორდნენ, რადგან ეს კრიმინალია, რატომ არ ვრცელდება იგივე წესი კერძო

დაცვის თანამშრომლებზე — როგორც ვიცით, ეს პირველი შემთხვევა არ არის. ამ ბართან ოთხი კამერაა დაყენებული, როცა მასალების ამოღება მოვითხოვე, მითხრეს, სამი არ მუშაობსო. რა თქმა უნდა, ადეკვატური რეაქციაც მქონდა, თუმცა შემდეგ, როგორც მითხრეს, ყველა მასალა გამოძიებას მიაწოდეს. არ შეიძლება, ახალგაზრდას, რომელსაც ერთადერთი დარღვევა, დაბადებიდან დღემდე, ღვედის არგადაკვრაა, ასე დაუმახინჯო ცხოვრება, ამას არ შველის მერე მობოდიშება, ბატონო მალხაზ და ქალბატონო ნანა, ჩვენ ასე არ გვინდოდაო...“

რუსუდან შელია

პრემიერი განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს შეხვდა

სტუდენტები ნიუ იორკში სწავლობენ. შეხვედრა არაფორმალურ გარემოში წარიმართა. ახალგაზრდებმა პირადად პრემიერ-მინისტრისგან მიიღეს ინფორმაცია განათლების სფეროში დაგეგმილ სიახლეებზე, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით განსახორციელებელ პროექტებზე და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

პრემიერთან შეხვედრით კმაყოფილები დარჩნენ სტუდენტები. მათი თქმით, საინტერესო საუბარი შედგა და ირაკლი ღარიბაშვილმა მათ კითხვებს გულწრფელად უპასუხა.

განათლების საერთაშორისო ცენტრი პრემიერ-მინისტრის ინიციატივით 2014 წელს შეიქმნა. ცენტრმა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მსურველი 77 წარმატებული ახალგაზრდა დააფინანსა.

„პია.გე“

მეტროში მამაკაცი გარდაიცვალა

მეტროს სადგურ „ვაგზლის მოედანზე“, მეტროპოლიტენის მეორე ხაზზე ახალგაზრდა მამაკაცი გვირაბში ჩავარდა და გარდაიცვალა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. არსებული ინფორმაციით, საბურთალოს ხაზზე 25 წლამდე ასაკის მამაკაცი თვითმკვლელობის მიზნით, მოძრავ მატარებელს გვირაბში ჩაუხტა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ლავროვი აღასტურებს, რომ დონბასში რუსეთის მოქალაქეები იბრძვიან

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში განაცხადა, რუსეთი არც არასოდეს უარყოფდა, რომ უკრაინის აღმოსავლეთით მისი მოქალაქეები იბრძვიან.

„იქ ბევრი მოხალისეა, ბევრია მათ შორის რუსიც. ტელევიზიით აჩვენეს ამერიკელის ინტერვიუ, რომელიც ბალაკლავაში იყო, იყვნენ რუსეთის მოქალაქეებიც, რომლებიც ამბოხებული უკრაინელი ოლიგარქების მიერ შექმნილ ბატალიონებში იბრძოდნენ. ამ ბატალიონებში ბევრი პოლონელი, ლიტველი, ევროპელი იყო. ინტერვიუ იყო ესპანელთან, ასევე გერმანელ ქალთან, გუშინ კი ამერიკელიც აჩვენეს. ჩვენც არც არასოდეს უარვყოფდით, რომ იქ რუსი მოხალისეები იბრძვიან“, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

„პია.გე“

უამინდობა გაგრძელდება

მცხეთაში დასუფთავების აქცია გაიმართა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, გიორგი კობერიძემ, „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორმა, გიორგი შუხოშვილმა, კომპანიის თანამშრომლებმა, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებთან ერთად მცხეთაში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია გამართეს.

აქციაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელმა, ნინო ჩხომაძემ, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა და მცხეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

მოსახლეობის დაუდევრობის გამო, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის შენარჩუნება ვერ ხერხდება. მონასტერი ტურისტების დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს, მის ირგვლივ კი მიმოფანტულია პოლიეთილენის ბოთლები, პარკები და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენები. აქციის მონაწილეებმა ტერიტორია გაწმინდეს, ნარჩენები შეაგროვეს და ნაგავსაყრელზე გადაიტანეს.

„ინტერპრესნიუსი“

დასავლეთ საქართველოს მთელ სანაპირო ზოლზე ძლიერი ქარი და უხვი ნალექია მოსალოდნელი, რასაც, სავარაუდოდ, მდინარეებში წყლის დონე სახიფათოდ მომატება მოჰყვება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოდან აცნობეს.

„ზღვაზე მოსალოდნელია ძლიერი შტორმი. მსგავსი ოდენობის ნალექმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ღვარცოფული და მეწყრული მოვლენები, განსაკუთრებით აჭარის მაღალმთიანეთში, გურიასა და სამეგრელოს მაღალ ზონაში.

მეტეოროლოგების ვარაუდით, აღნიშნული ვითარება 29 სექტემბერს, მთელი დღის განმავლობაში შენარჩუნდება, 29 სექტემბრის ღამისთვის კი, ნალექის დონე და ქარის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, მოიკლებს.

მივმართავთ მოსახლეობას, მაქსიმალურად მოერიდონ ზღვის სანაპირო ზოლსა და მდინარეების უშუალო სიახლოვეს, ასევე, შეძლებისდაგვარად მოარიდონ შინაური ფრინველი თუ პირუტყვი საშიშ ზონებს. ამ ეტაპისთვის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელობით, დასავლეთ საქართველოში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც კოორდინაციას უწევს პრევენციულ ღონისძიებებს. სტიქიასთან საბრძოლველად მობილიზებულია ყველა შესაბამისი უწყების რესურსი როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

შეგახსენებთ, რომ გადაუდებელი დახმარებისთვის 24-საათიან რეჟიმში მუშაობს ცხელი ხაზი 112“, — ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ, 2014 წლის 1 სექტემბრისათვის, 10.4 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 150 700 000 ლარით, ანუ 1.5%-ით მეტია მიმდინარე წლის 1 აგვისტოს მაჩვენებელზე. აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდას 53 300 000 ლარით, ანუ 1.2%-ით და ვადიანი დეპოზიტების ზრდას 97 500 000 ლარით, ანუ 1.7%-ით.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტმა, მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის 59.81% შეადგინა, რაც 1.34%-ით ნაკლებია 1 აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით.

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 5.8%-ია, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე — 7.7%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე — 4.6%. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში, აშშ დოლარის წილმა 81.4%, ხოლო ევროს წილმა — 16.0% შეადგინა.

რადიო „კომერსანტი“

რის თქმას ერიდება სოსო ჯაჭვლიანი

„რუსთავი 2“-მა სერიალით მეორე სუნთქვა გამიხსნა — ჩემი პოპულარობა გაორმაგდა. რამდენიც უნდათ, იმდენი მაგინონ და „მეკაიფონ“. თუ უნდათ, თავად გავუხმოვანებ და რამდენ სისულელესაც უნდათ, ვილაპარაკებ“

ერუსუდან შელია
557-100-768

სათქმელი ბევრი დაუგროვდა, მაგრამ ამბობს, რომ საერთო საქმეს არ დააზიანებს და ამ ეტაპზე დუმილს ამჯობინებს, თუმცა იმის აღიარებაც არ უჭირს, რომ ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და ხელისუფლებაც შეცდომებს მეტ-ნაკლებად უშვებს. ზოგიერთი თანაგუნდელისგან განსხვავებით, საზოგადოების კრიტიკისაც მიესალმება და არც საკუთარ თავზე ხუმრობა უძნელდება. მოკლედ, „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ჩვეული იუმორით, გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი აფასებს.

— რამდენიმე დღის წინ იმ დარბაზში, სადაც საქართველომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა, მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა — საქართველომ 14 მედალი აიღო და შესაბამისად, ამავე დარბაზში საქართველოს ჰიმნი 14-ჯერ აჟღერდა. რაც მთავარია, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მკლავის ტიტული ლევან საღინაშვილმა მოიპოვა. ჩემთვის ესეც პოლიტიკის ნაწილია. პრემიერი იქნება, დეპუტატი თუ სპორტსმენი, ქვეყნის შენებაში ყველამ თავისი აგური უნდა დადოს. გაერო-ს სამიტზე კი ირაკლი ღარიბაშვილმა ქვეყანა ღირსეულად წარადგინა... არ ვამბობ, რომ შეცდომები არ არის, მაგრამ შეუცდომელი მხოლოდ უფალია. მთავარი მონაპოვარი უკვე გვაქვს — ადამიანები საკუთარ აზრს თავისუფლად გამოხატავენ, თანაც ისე, რომ კვერცხების სროლასა თუ წივილ-კივილს არ ერიდებიან. სააკაშვილის დროს ეს რომ ვინმეს გაებედა, რასაც უზამდნენ, ყველამ ვიცით. ეს უკვე გავიარეთ. ამ პროცესს პირადად მე მივესალმები — აბა, რა, თუ შეცდომებს ვუშვებ და საქმეც შეფერხდა, უნდა გამაკრიტიკო!

— ბატონო სოსო, თქვენგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ უმრავლესობას კრიტიკა არ მოსწონს და პრობლემებზე ღიად საუბარს ნაციონალური მოძრაობისგან მართვად პროცესად ნათლავს...

— მე ყოველთვის ჩემი თავის სახელით ვსაუბრობ და ჩემი ამომრჩევლის წინაშე ვარ პასუხისმგებელი. სხვათა შორის, ახლა, როცა პარლამენტის ნაწილი თბილისში გადმოვიდა, ამომრჩეველსაც უფრო ხშირად შევხვდები. ტელეფონის ნომრებიც არ შემიცვლია და იცით, რატომ? — ვიღაცამ რომ გაიგოს, ნომერი შევცვალე, იფიქრებს, პარლამენტში შევიდა და ხალხს აღარ იკარებსო, რა თქმა უნდა, იქვე გინებასაც დაამატებს, ამიტომ გინების მიზეზს არავის ვაძლევ.

— და თუ ძველი ტელეფონის ნომერი დღემდე შეინარჩუნეთ, შეუსრულებელი დაპირებების, მძიმე სოციალური მდგომარეობისა და გაუთავებელი პოლიტიკური დაპირისპირების გამო, ამომრჩევლისგან ნეგატიურ შეფასებებს არ იღებთ?

— ამის პასუხიც მაქვს: თავის დროზე, როცა მამაჩემი საავადმყოფოში მივიყვანე, ორკვირიან მკურნალობაში, 14 ათასი ლარი გადამახდევინეს. ახლა ყველა ადამიანის ჯანმრთელობა დაზღვეულია და მკურნალობას სახელმწიფო აფინანსებს. სოფლად საგაზაფხულო სამუშაოებიც ხომ სრულად დაფინანსდა?.. ვინ წარმოიდგენდა, რომ გლეხი, რომელსაც სტიქიამ მთელი წლის მოსავალი გაუნადგურა და სახელმწიფოსგან შესაბამისი დახმარება მიიღო, ამ თანხით ავტომობილს შეიძენდა? წიგნებიც უფასოდ რომ დარიგდა, ცუდია?

— საპარლამენტო არჩევნებამდე ბევრად მნიშვნელოვანი დაპირებები გქონდათ, მათ შორის, ტარიფების განახევრება და გახმაურებული საქმეების გამოძიება, დღეს კი მმართველი გუნდი პასუხისმგებლობის არიდებას სხვადასხვა არგუმენტით ცდილობს.

— ბოლო სამ არჩევნებამდე, როცა მოსახლეობას ვხვდებოდი, ვუხსნიდი, რომ არჩევანი მისი გასაკეთებელია და ოპონენტების ლანძღვა-გინებაში არ ვიქაფებოდი.

— თქვენც პასუხისმგებლობას გაურბიხართ?

— პასუხისმგებლობა მეც მაკისრია და ჩემ წილ პასუხისმგებლობას ყოველთვის ავიღებ. ნაციონალებმა იმდენად მყარი მონოპოლიური სისტემა შექმნეს, მისი გაუქმება ორ წელიწადში შეუძლებელია. ამ ნაძირლებმა ბომბები ისე ჩადეს, სახელმწიფომ კომპანიასთან ხელშეკრულებები რომ დაარღვიოს, მთავრობა ვალდებულია, კომპანიას ორჯერ და სამჯერ მეტი თანხა გადაუხადოს. მარტივ მაგალითს გეტყვით: ვილნიუსში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ვიგებ, რომ წლების განმავლობაში, მერია მკლავჭიდის ეროვნულ ნაკრებში ოთხ მწვრთნელს აფინანსებდა, რომელსაც სპორტის სფეროში არავინ იცნობს. როცა ვკითხე, ერთი ადამიანი მაინც დამისახელეთ, რომელიც თქვენთან ვარჯიშობდა-მეთქი, პასუხი ვერ გამცეს. ეს ადამიანები მერიისგან ფულს დღემდე იღებენ. გიგი უგულავამ თბილისის ბიუჯეტიდან ხომ 50 მილიონი გაიწოვა? ასეთ ადამიანებს ნაციონალები დღემდე აშინებენ, რასაც გეტყვით, შეასრულეთ, მალე ხელისუფლებაში დავბრუნდებითო. ამიტომაცაა ეს რიარია.

— ამ ქაოსის დასრულება ხომ თქვენი პირდაპირი მოვალეობაა? თითს წარსულისკენ რატომ იშვერთ, ოპოზიციის როლიდან ვერ გამოხვედით?

— როგორც გითხარით, წლების განმავლობაში შექმნილ სისტემას დღემდე ვებრძვით, თანაც ეს ქსელი ისე უნდა დაშალო, პროცესი საზოგადოებისთვის მტკივნეული არ იყოს. შეგვიძლია, ნაციონალურ მოძრაობას დავემსგავსოთ, მაგრამ უკურეაქციას მივიღებთ და შესაძლოა, ისეთი ადამიანები დავაზარალოთ, რომლებიც რეალურად დამნაშავე არ არიან. ამიტომ პროცესი დროში გაიწელა. პარლამენტში შესვლისას, პირველმა მე განვაცხადე, ნაციონალებს არჩევნებში 40% არ მიუღიათ და კარგი იქნება, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნებამეთქი. ამასაც თავისი წესი აქვს, თუმცა ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

— მაინც, როგორია პროცესის ლოგიკური დასასრული?

— გამწარებულმა მშობლებმა, რომლებსაც შვილები მოუკლეს, ეჭვი არ უნდა შეიტანონ, რომ სოსო ჯაჭვლიანი მათ გვერდით არ არის. სოსო რობაქიძე, ვაზაგაშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო? უსამართლობას არავინ შეეგუება — რეაქცია მექნება და ახლაც მაქვს. საზოგადოებას კარგად ახსოვს პარლამენტში ჩემი და გიორგი ბარამიძის დაპირისპირება. მაშინ ბარამიძემ მითხრა, დამკითხონო, მაგრამ, როგორც ვიცი, დღემდე არავის დაუკითხავს. პროკურატურასთან მაქვს კითხვა: რატომ არ იკითხება გიორგი ბარამიძე? როგორც ჩანს, გამოძიებასაც თავის დრო აქვს. ჩემთვის მთავარი სიმართლის თქმაა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ზოგჯერ თქმითაც დაშავდების... მე რომ ახლა სიმართლე გითხრათ, შემდეგ საერთო საქმე გაფუჭდეს და მთავარ მიზანს ვერ მივაღწიოთ, საზოგადოება მომიტრიალდება და მეტყვის, რა გალაპარაკებდა, ჯერ მიზნისთვის მიგვეღწია და შემდეგ გეთქვა სათქმელიო.

— იქნებ, პირიქითაა — სიმართლის დამალვით რეალურ მიზანს აზიანებთ და ბოლოს, საზოგადოებისგან საყვედური დუმილის გამო მიიღოთ?

— არ მინდა, ჩემი საუბრით ვიღაც გავაძლიერო. საერთოდ, „ქართული ოცნება“ ისეთი ადამიანების ნაკრებია, რომლებსაც ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, ნაძირლობის გამოცდილება არ აქვთ და ეს ჩვენი ყველაზე დიდი მინუსია. მონტაჟის დეფიციტი გვაქვს, უფრო კარგი „მონტაჟიორები“ უნდა გვყავდეს. ერთმანეთს გული უნდა გადავუშალოთ. ორი წელი გავიდა, ამიტომ დროა, მოვლენებს სხვანაირად შევხედოთ. ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის ინერციით მოვედით, სპორტშიც ასე ხდება — შესაძლოა, ჩემპიონი ნიჭის დამსახურებით გახდე, მაგრამ, თუ ვარჯიში არ გააგრძელე და არ განვითარდი, სასაცილო გახდები.

— თქვენი აზრით, დღეს „ქართული ოცნება“ ამ ზღვარზეა?

— ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ნოტაციები წავუკითხო, თუმცა ჩემი აზრი ყოველთვის მაქვს და თუ ეს მისაღებია საზოგადოებისთვის, „ქართული ოცნებისა“ და ჩემი მეგობრებისთვისაც, გამიხარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზად ვარ, მათი შენიშვნებიც მოვისმინო. ჭეშმარიტება კამათში იბადება.

— შენიშვნები სპორტსმენებისგან რატომ არ მოისმინეთ, რომლებიც მწვრთნელების გათავისუფლებას აპროტესტებენ და ლუკა კურტანიძეს ფინანსურ დარღვევებში ადანაშაულებენ?

— როცა ლუკა კურტანიძეს კვერცხი ესროლეს, ბიჭებს მოვუტრიალდი, თქვენი საქციელის არ გრცხვენიათ, ეს პოლიტიკის ნაწილია და სააკაშვილის დროს ამას ვერ გაბედავდით-მეთქი. ლუკა კურტანიძე მართალია! როცა სააკაშვილის მთავრობამ იგი შეურაცხყო და ლამის მიწასთან გაასწორა, მაშინ ამ სპორტსმენების ხმა არ გამიგია. კარგი იქნებოდა, ეს პრობლემა ოჯახში გადაწყვეტილიყო და ხალხს არ ენახა, ლეგენდარული ხალხი ერთმანეთს კვერცხს როგორ ესვრის. როცა ლუკა კურტანიძემ ჭიდაობის ფედერაცია ჩაიბარა, ბიუჯეტში მხოლოდ 2 500 ლარი დახვდა. ახლა ჭიდაობის ფედერაციის ბიუჯეტი ნახევარი მილიონია. ამიტომაც ვამბობ, ისეთი მართალი, როგორიც ახლაა, ლუკა კურტანიძე არასოდეს ყოფილა.

— ბოლოს, ერთ-ერთ ანიმაციურ სერიალზე გკითხავთ. „ქერის უბანში“ თქვენი პერსონაჟის გამო ხომ არ ბრაზდებით?

— როცა „ნატვრის ხეში“ გადამიღეს და ფილმი ერთდროულად ყველა ქართულ კინოთეატრებში აჩვენეს, მთელი საქართველო მცნობდა. „რუსთავი 2“-მა სერიალით მეორე სუნთქვა გამიხსნა — ჩემი პოპულარობა გაორმაგდა. რამდენიც უნდათ, იმდენი მაგინონ და „მეკაიფონ“. თუ უნდათ, თავად გავუხმოვანებ და რამდენ სისულელესაც უნდათ, ვილაპარაკებ. ავტორებს მივმართავ, გეხვეწებით, კიდევ ბევრი სერია გადაიღეთ და არცერთში გამომტოვოთ. 24 საათი ჩემ თავზე ვხუმრობ და როგორ შეიძლება, ყველაფერ ამაზე გავბრაზდე. ის, რაც რეალურად მაბრაზებს, არავის გავუმხელ, ეს ჩემი საიდუმლოა.

საპატრულო პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1970 წელს დაბადებული მამუკა მ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა „112“-დან მიიღო შეტყობინება, რომ ვაშლიჯვარში, კვანტალიანის ქუჩაზე, ღამის საათებში, მეზობლებს ხმაურით აწუხებდა მოქალაქე, რომელსაც, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პატრულმა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მამუკა მ-ს მოსთხოვა წარმოედგინა საბუთები. იგი სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა და ადგილიდან მიმალვა სცადა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მამუკა მ. ადგილზევე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას დანა, „ჩე-ზე 75 ბ“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდითა და 15 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პისტოლეტი 2002 წელს, თბილისში, კოსტავას ქუჩაზე ერთ-ერთი ბინის დაყაჩაღებისას გაიტაცეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

„ვერსიაპრინტი“

წლის ბოლოს ადგილობრივი პროდუქტი გაძვირდება

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე გაძვირების შეჩერება ვერ ხერხდება. აგრარული სეზონის დასრულებასთან ერთად, სპეციალისტები ფასების ზრდას ვარაუდობენ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აგვისტოში წლიური ინფლაცია 3.4%-ია. წელს, სექტემბერში პირველად, აგრარულ ბაზარში 1 კილოგრამი ბადრიჯანი 1 ლარი ღირს, მწვანე ლობიო — 2, კარტოფილი — 1, პომიდორი — 1, იმერული ყველი — 9 ლარი. პროდუქტზე ფასი მუდმივად მზარდია და წლის ბოლოსთვის გაძვირებაა მოსალოდნელი.

სტატისტიკის მიხედვით, ინფლაციის დონის თუნდაც 3.4%-მდე მიღწევაში, „მთავარი წვლილი“ სწორედ სურსათის გაძვირებას მიუძღვის. სხვა სახის პროდუქტზე, მაგალითად, ტანსაცმელზე, ტექნიკასა თუ ავეჯზე, ფასი ან არ იცვლება, ან იაფდება. პროდუქტის გაძვირების ერთ-ერთ მიზეზად რუსეთის ბაზრის გახსნა განიხილება, თუმცა ამ პროცესზე არანაკლები გავლენა მოახდინა გვალვამ და ღვარცოფებმა. კახეთში მოსავლის დიდი ნაწილი გადაიწვა, გვალვის გამო, მოსავლიანობა შემცირდა იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში. პროდუქტი ძვირდება, უმუშევრობის მაჩვენებელი კი ისევ მაღალია. მოსახლეობა საკმაოდ რთულ პირობებში იმყოფება. მართალია, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ამბობენ, რომ 4-სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 266 ლარია, მაგრამ სინამდვილეში, ეს ორი კვირის სამყოფი თანხაც არ არის.

სტატისტიკის ექსპერტის, სოსო არჩვაძის განცხადებით, ფასის ზრდაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. პირველი სეზონური ფაქტორია, რომელიც ტრადიციულია საქართველოსთვის, რადგან ზაფხულში სურსათი შედარებით იაფია, შემოდგომიდან კი ძვირდება. მეორე ფაქტორია ხელფასებისა და შემოსავლების მატება, როგორც მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის შემადგენელი ნაწილი. ექსპერტი აღნიშნავს, რომ დასაქმებულების ნაწილს 100 ლარითაც რომ გაეზარდოთ შემოსავალი, ისინი მაშინვე სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებას იწყებენ, რაც ფასებზე მყისიერ გავლენას ახდენს.

„ყოველი დამატებითი 100 ლარის შემთხვევაში, დაბალშემოსავლიანი ადამიანი წავა და გაიუმჯობესებს სასურსათო მდგომარეობას. ამ შემთხვევაში, ფასების დაბალანსების ორი ბერკეტი არსებობს, იმპორტის ხარჯზე საქონლის მასის გაზრდა, ან ფულის მასის ამოღება მიმოქცევიდან“, — ამბობს სოსო არჩვაძე.

ხელისუფლებაში განსხვავებულად ფიქრობენ. მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ ინფლაცია ნორმალურ მაჩვენებელზეა, ამიტომ მის შესამცირებლად არანაირი ბერკეტის გამოყენება არ არის საჭირო.

რადიო „კომერსანტი“

ილია II: „საქართველოს ჯვარი უფლისა გაამთლიანებს!“

„ჯვარი უფლისა გადაარჩენს საქართველოს და ჯვარი უფლისა გაამთლიანებს საქართველოს“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებული წირვის დასრულების შემდეგ, ქადაგებისას განაცხადა.

ამასთან, უწმინდესმა აფხაზეთში დაღუპული ჟიული შარტავაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ჟიული შარტავა აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს უდიდესი გმირია.

პატრიარქმა ასევე გაიხსენა, რომ უცნობი პირისგან წერილი მიიღო, რომელიც არც ქართველი და არც რუსი არ იყო. წერილში უცნობი პირი აღნიშნავდა, რომ იგი შემთხვევით შეესწრო ჟიული შარტავას დახვრეტას და მისი სახელი და გვარი ასანთის კოლოფზე ჩაიწერა. უცნობი პირი პატრიარქს წერდა, რომ ისინი უნდა ამაყობდნენ, რადგან ჰყავთ ასეთი გმირი, როგორიც არის ჟიული შარტავა. პატრიარქმა ბრძანა, რომ ჟიული შარტავა უკვე სასუფევლის მკვიდრია და ის ლოცულობს საქართველოს მთლიანობისა და მშვიდობისათვის.

„ინტერპრესნიუსი“

შს მინისტრმა აფხაზეთის ომში დაღუპული კურსანტების ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, 1992 წელს აფხაზეთის ომში დაღუპული შსს-ს აკადემიის კურსანტების მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო. მინისტრთან ერთად დაღუპული მებრძოლების ხსოვნას შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ზურაბ გამეზარდაშვილმა, შსს-ს აკადემიის ხელმძღვანელმა ნუკრი გელაშვილმა და უწყების სხვა წარმომადგენლებმა მიაგეს პატივი.

შსს-ს მაშინდელი უმაღლესი სკოლის 14 კურსანტი 1992 წელს აფხაზეთის ომის დროს ქალაქ გაგრის მახლობლად, სოფელ კოლხიდასთან დაიღუპა. შსს-ს აკადემიის კურსანტების პატივის მიგების ცერემონიაზე დასასწრებად უწყებამ დაღუპულ კურსანტთა ოჯახის წევრები მიიწვია. ალექსანდრე ჭიკაიძე მათ პირადად შეხვდა, გაესაუბრა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

შსს-ს აკადემიის ეზოში მემორიალი 1991-1992 წლებში აფხაზეთის, სამაჩაბლოს და თბილისის სამოქალაქო ომში დაღუპული კურსანტების საპატივცემულოდ არის აღმართული.

„ვერსიანიუსი“

ქართულ თხილზე მოთხოვნა იზრდება

ქართული თხილი საექსპორტო პოზიციებს იმყარებს. „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის იანვარ-აგვისტოში, უცხოეთის ქვეყნებში 70 000 000 აშშ დოლარის ქართული თხილი გავიდა ექსპორტზე, რაც 55%-ით მეტია 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის 8 თვეში, 44 700 000 აშშ დოლარის თხილია ექსპორტირებული. ერთი წლის განმავლობაში, ქართული თხილის წილი ექსპორტში 2.5%-დან, 3.6%-მდე გაიზარდა. საექსპორტო პროდუქციათა შორის, თხილი მეშვიდე ადგილზეა.

„ბიპი-აი“

„ოცნება“ პოლიტიკურ ველს ასუფთავებს!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ხათუნა ლაგაზიძეს მოქმედი კონსტიტუცია საუკეთესოდ, ქვეყანაში არსებულ ყველაზე ჯანსაღ პროცესად კი, პრემიერისა და პრეზიდენტის ყბადაღებული კინკლაობა მიაჩნია. ამასთან, პოლიტოლოგი „ვერსიასთან“ საუბრისას „ოცნების“ სამნაწილიან ლეგენდას შიფრავს, აქცენტს ე.წ. კუდიანებზე ნადირობაზეც აკეთებს და დარწმუნებულია, რომ 2016 წლამდე საქართველოში სერიოზული პოლიტიკური ძვრები არ მოხდება.

ხათუნა ლაგაზიძე 2016 წლამდე ხელისუფლების შეცვლას გამორიცხავს

— ქალბატონო ხათუნა, საქართველოში ანტიტერორისტული საწვრთნელი ბაზის შესაძლო აშენებამ ლამის საერთაშორისო სკანდალში გაგვხვია. მართალია, გაირკვა, რომ მსგავსი რამ არ იგეგმება, მაგრამ აშშ-ს კოალიციაში ისე როგორ ჩავერიოთ, რომ ტერორისტების აგრესიაც ავირიდოთ და არც ჩვენი ისლამური სამეზობლო გავანაწყენოთ?

— დაზუსტებული ინფორმაციით, ამ საკითხზე მოლაპარაკება აშშ-ს თავდაცვის მდივნის საქართველოში ყოფნისას, სექტემბერში გაიმართა. ამ სკანდალმა კი გამოკვეთა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არაკოორდინირებულობაა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს სახელმწიფო საიდუმლოს დაცვა არ შეუძლიათ, რაც ჩვენი უსაფრთხოების სისტემის გაუმართაობას მოწმობს. რაც შეეხება თავად ბაზის აშენება-არაშენებას, ჩრდილოკავკასია ტერორისტების ერთ-ერთი ინკუბატორია. ბაზის აშენებით კი იმ რეალობის წინაშე დავდგებით, რომ საზღვრის ერთ მხარეს ტერორისტების მომზადების ბანაკი იქნება, მეორე მხარეს ანტიტერორისტების ცენტრი, რაც კავკასიის რეგიონში ტერორიზმის იმპორტს ნიშნავს. არავის, მათ შორის, არც რუსეთსა და აშშ-ს არ აწყობს კავკასიაში ტერორიზმის ახალი კერის გაჩენა, ამიტომ ამ ანტიტერორისტულ კოალიციაში საქართველოს საბრძოლო და სამხედრო როლი უნდა გამოირიცხოს, თუმცა ვფიქრობ, სრულიად შესაძლებელია ტერორიზმის კვლევის ცენტრის შექმნა და იმის შესწავლა, რა ფაქტორები უწყობს ხელს ჩრდილოკავკასიაში ამ ბუდეების გაჩენას. ეს კვლევის ცენტრი კოალიციის მუშაობაში თავის წვლილსაც შეიტანს, აგრესიის საფრთხეც გაცილებით ნაკლები იქნება და თურქეთის, ირანისა და აშშ-ს ერთობლივი ინტერესის სფეროშიც მოექცევა.

— სხვათა შორის, „როიტერი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ შესაძლოა, ირანი ევროპის მთავარი გაზმომმარაგებელი გახდეს და რუსეთი ჩაანაცვლოს. ამ თემაზე ევროკავშირი უკვე მუშაობს, ორი მთავარი პროექტი — „შაჰ დენიზი“ და მიძინებული „ნაბუკო“ კი ევროპაში, ბუნებრივია, ისევ საქართველოს გავლით გავა. ამით ჩვენი ქვეყანა მოიგებს თუ წააგებს?

— მსოფლიო პოლიტიკაში მხოლოდ შავ-თეთრი ფერებით არ თამაშობენ, ამიტომ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. ცხადია, დასავლეთმა უკრაინა გაყიდა. თუ ზემოხსენებული ორი პროექტი განხორციელდა, ეს ნიშნავს, რომ საქართველო ევროპისა და აშშ-სთვის მნიშვნელოვანი ქვეყანა გახდება და ჩვენს დასაცავად უფრო მეტსაც გაიღებენ, ვიდრე უკრაინისთვის, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლახან ნამდვილი საერთაშორისო სკანდალი მოხდა — დალია გრიბაუსკაიტემ განაცხადა, ევროპასა და აშშ-ს პუტინის შემჩერებელი ლიდერები არ ჰყავსო. ასე რომ, ეს საქართველოსთვის ერთდროულად ძალიან დიდი შანსიცაა და საფრთხეც. ამასთან, ისეთი გამოსავალი, რომ რისკები განულდეს, ამ ვითარებაში, პრაქტიკულად, არც არსებობს.

— ალბათ, ვერც შიდაპოლიტიკურ რისკებს გავანულებთ — პრეზიდენტი ოპოზიციაშია და სახეზე შიდაარეულობის საფრთხეა?

— გიორგი მარგველაშვილი ასეთი სახელისუფლო კრიზისის შემქმნელი არაა. პარლამენტის დაშლას აზრი იმ შემთხვევაში აქვს, თუ ხელისუფლებაში ახალი, ძლიერი ჯგუფი მოდის, ჩვენთან კი ალტერნატიული ძალა არ ჩანს, თან ამის არც აუცილებლობაა და არც მოცემულობა. იმაზეც ლაპარაკობენ, მიდის თუ არა მარგველაშვილი ოპოზიციაში, ქმნის თუ არა პარტიასო და ა.შ., მაგრამ ამ კონსტიტუციით, პრეზიდენტის მთავარი ხიბლი სწორედ მის ზეპარტიულობაშია და ვიცი, პრეზიდენტი ამ საკითხს სწორედ ასე უყურებს. მოქმედი კონსტიტუციით, იგი ყველა „დამაშვრალისა“ და „ჩაგრულის“ მფარველი ანუ სიტყვის, ბიზნესის თავისუფლებისა და კონსტიტუციით გარანტირებული ყველა უფლების სადარაჯოზეა. როგორც კი პრეზიდენტი რომელიმე პარტიის ლიდერი ან სახე გახდება, ეს ხიბლი დაეკარგება. სხვათა შორის, საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციაზე ბევრისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი მაქვს — ძალიანაც კარგი, რომ კონსტიტუცია ასეთია და პრეზიდენტი პირდაპირი წესით ირჩევა. პრემიერისთვის გაზრდილი უფლებების პირობებში, არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტი ბალანსის ბერკეტს ტოვებს.

— ჩვენში დარჩეს და, აქამდე მარგველაშვილი „დამაშვრალთა“ უფლებებისთვის კი არა, უფრო გაერო-ს სამიტზე წასვლისა და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის იბრძოდა.

— კამათსა და ოპონირებაში პრობლემას ვერ ვხედავ. აბა, წარმოიდგინეთ, პარლამენტი რომ ირჩევდეს პრეზიდენტს და მერე, მისი გადაყენება ძალიან ადვილად შეეძლოს? იმ პირობებში, როცა ქვეყანას ძლიერი ოპოზიციური ძალა არ ჰყავს, ხელისუფლების ბალანსი ვინ იქნებოდა? შეიძლება, მარგველაშვილი პარტია „ოცნების“ რუპორი ყოფილიყო და მაშინ არც ეს გაუგებრობა იქნებოდა. სამაგიეროდ, კონსტიტუცია იძლევა საშუალებას, თუ პრეზიდენტს სურს, ადამიანის უფლებათა რეალური დამცველი იყოს და არა პარტიის რიგითი წევრი, ამას მოახერხებს!

> **იცით, დეპუტატებს რა ეშლებათ? — მარგველაშვილი პრეზიდენტის პოსტზე ბიძინა ივანიშვილმა და პარტიამ წარადგინა, მაგრამ არჩევის შემდეგ, პრეზიდენტი კონსტიტუციის მოთხოვნებს ასრულებს და არა წარმდგენი პარტიისა, ამიტომ, ჩემი აზრით, ყველაზე საღი პოლიტიკური პროცესი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, სწორედ ეს არის.**

— არაჯანსაღია თავად პოლიტიკური ველი — რეალურად, ვინაა დღეს ოპოზიცია და რა შეუძლია?

— შეგვიძლია, ჩამოვთვალოთ ოპოზიციური პარტიები, მაგრამ მათი უმეტესობა ერთკაციანია. ქვეყანაში ყველაზე აქტიური და ხმაურიანი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობაა, თუმცა მასაც ხალხის ნების გამოხატვის მორალური უფლება არ აქვს. ამას წინათ, სოციალურ ქსელში ერთი მშვენიერი შედარება ვნახე — ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ დაზღვევის ოქროს ბარათიაო. „ოცნება“ დღეს ნაციონალების ხარჯზე არსებობს — როგორც კი ნაციონალური მოძრაობა გაქრება, „ქართული ოცნებაც“ ჩაქრება! რომ ჩამოვთვალოთ, რა გააკეთა ხელისუფლებამ ამ ორი წლის განმავლობაში, შედეგად ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევას მივიღებთ, ასევე არჩევით მერებსა და გამგებლებს, რაც, უდავოდ, კარგია. ასევე, შედარებით თავისუფალი გახდა მედია, ბიზნესი, სასამართლო და პოლიტიკური არჩევანი, თუმცა „ქართული ოცნება“ საკუთარი მიღწევების დემონსტრირებას ვერ ახერხებს. სამაგიეროდ, გადასარევად ახერხებს შავი პიარის წარმოებას ყველა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის წინააღმდეგ. შესაძლოა, ასე იმ რეალობამდე მივიდეთ, „ოცნებამ“ თავის მიღწევებს ხაზი თავად გადაუსვას.

> **ხელისუფლებამ შექმნა ლეგენდა, რომელსაც „კუდიანებზე ნადირობას“ ვეძახი. ამ ლეგენდის პირველი ნაწილი ისაა, რომ ყველა, ვინც აკრიტიკებს ხელისუფლებას, ნაციონალების სატელიტია; მეორე ნაწილის მიხედვით კი, ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას აპირებენ და ავტომატურად, გამოდის, ყველა, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებს, სახელმწიფო გადატრიალების პოტენციური მონაწილეა. ამ ლეგენდის მესამე ნაწილი ყველაზე ცუდია — გვარწმუნებენ, რომ 2016 წლამდე ნებისმიერი პარტია, ვინც შესაძლოა, ასპარეზზე გამოჩნდეს, აუცილებლად ნაციონალების მართულ-დაფინანსებული იქნება, ამით „ოცნება“ პოლიტიკურ ველს წინასწარ ასუფთავებს.**

— ანუ ხელისუფლება უკვე არჩევნებისთვის ემზადება?

— რა თქმა უნდა და საკუთარ ამომრჩეველს, რომელიც 9 წლის განმავლობაში სწორედ ასეთ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა, ძალიან უღირსადაც ექცევა. ხელისუფლება, რომელიც მრავალპარტიულობას გვპირდებოდა, დღეს მიიჩნევს, რომ ეს ქართველი ხალხისთვის სრულიად ზედმეტი ფუფუნებაა და ამ ლეგენდას „გვტენიან“, რაც ნაციონალებსაც აწყობთ, რადგან ისინი მაშინვე გაქრებიან, როგორც კი ახალი, კონკურენტული ძალა გამოჩნდება. მთელი ეს სიტუაცია კი ერთ კითხვას აჩენს — არის კი ახალი, ძლიერი პოლიტიკური ძალის გამოჩენის რესურსი?! მით უმეტეს, ბოლო დროს უკვე თვალსაჩინოა, რომ ხელისუფლებამ ცალკეული ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების გადაბირებაზე მუშაობა დაიწყო. ბეჭდვითი მედიის ნაწილი კი კარგა ხანია კონტროლდება. მოკლედ, ეს საარჩევნო სამზადისია, თუმცა მარტო ხელისუფლებასა და ნაციონალებს ვერ დავაბრალებთ, საზოგადოებას ახალი ძალის გაჩენის სურვილი ან უნარი რომ არ გააჩნია. „ოცნებას“ და ნაციონალებს რა სურთ, ეს არავის აინტერესებს, მთავარია, რა სურს ხალხს, თუმცა არც პოლიტიკური დუღილი მიდის, არც ახალი ძალის გარდაუვალობა ჩანს და, მით უმეტეს, არც ვადამდელი არჩევნები. არსებობს ამომრჩევლის თითქმის 50%, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს. ეს კი ძალიან მსუყე ნიადაგია პოლიტიკაში შესვლის ნებისმიერი მსურველისთვის. ასე რომ, 2016 წლამდე ხელისუფლების ცვლილება გამორიცხულია, თუმცა ახალი პოლიტიკური მოთამაშეების გამოჩენის წინაპირობა ნამდვილად არსებობს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ გაცილებით ძლიერი სახელმწიფო ვართ, ვიდრე ოცი წლის წინ და უფრო ძლიერი, ვიდრე ორი წლის წინ!“

გიორგი იაშვილი

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე პლენარულ სხდომაზე გამოსვლა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის აშკარად წარმატებული გამოდგა. ამ გამოსვლას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ბევრი მოუთმენლად ელოდა. არსებობდა ვარაუდი, რომ საქართველოს მთავრობის მეთაური ბევრ სადავო საკითხს გვერდს დელიკატურად აუვლიდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა — ღარიბაშვილმა ღიად დააფიქსირა საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო კურსი. მისი გამოსვლის მნიშვნელობა და სისწორე უკვე შეაფასა როგორც ამერიკულმა, ისე ევროპულმა მედიამ...

ამ გამოსვლიდან ჩვენთვის, ჟურნალისტთათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მედიის მისამართით გაკეთებული განცხადება იყო.

„ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, ხელი შევუწყოთ, მართლაც, ძლიერ, დამოუკიდებელ და ხარისხიან მედიას. სამოქალაქო საზოგადოების მსგავსად, მედიაც არსებითია ძლიერი დემოკრატიისთვის. შეიძლება, ყოველთვის არ ვეთანხმებოდე იმას, რასაც მედიასაშუალებები ამბობენ და წერენ, მაგრამ ყოველთვის ვიბრძოლებ, რომ მათ ჰქონდეთ თავისუფალი სიტყვის უფლება“, — განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

საერთაშორისო კონფლიქტებთან მიმართებაში ღარიბაშვილმა მტკიცე და ურყევი პოზიცია დააფიქსირა და გაერო-ს ტრიბუნიდან აფხაზ და ოს მოქალაქეებსაც მიმართა:

„ნება მომეცით, მივმართო ჩვენს დებსა და ძმებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: „ძვირფასო დებო და ძმებო, ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ყველანი ერთად ვიცხოვრებთ და ჩვენ შორის მშვიდობა და კეთილდღეობა დაისადგურებს“. ჩვენ განუხრელად მივყვებით შერიგებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრული აღდგენის გზას. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და გამოვნახოთ გზები, რათა თქვენც გახდეთ ამ წარმატების თანაზიარი, მათ შორის იმ სარგებლის, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება მოიტანს...

ნება მომეცით, ცალსახად განვაცხადო, რომ საქართველო არასოდეს დათმობს თავის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ამავე დროს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოვიძიოთ ჩვენს აფხაზ და ოს დებსა და ძმებთან შერიგების გზები.

ჩვენ, ქართველებს, გვსურს კარგი ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ არა ჩვენი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარჯზე, რომელთა მისაღწევადაც ამდენი ვიბრძოლეთ...

რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად, ქვეყანაში ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირია. მიუხედავად ამისა, საქართველო დღესაც იღებს ლტოლვილებს კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან. სამწუხაროა, მაგრამ ლტოლვილთა ახალი ტალღების კერები არ მცირდება, განსაკუთრებით უკრაინასა და შუა აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების გამო.

ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა დავეხმაროთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, რისთვისაც ვაწვდით ჰუმანიტარულ და ტექნიკურ დახმარებას (მაგალითად, ვაგზავნით ექიმებსა და მედიკამენტებს), ვუცხადებთ მათ პოლიტიკურ მხარდაჭერას და ვთავაზობთ უსაფრთხო თავშესაფარს კონფლიქტით დაზარალებული ბავშვებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ვეხმარებით უკრაინას რეფორმების გატარებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაში!“

არადა, სწორედ ამ თემაზე აპელირებდნენ ქვეყნის შიგნით და ამბობდნენ, რომ პრემიერი უკრაინის თემას, უბრალოდ, არ ახსენებდა; შედეგი კი სულ სხვაა — პრემიერმა ამ თემაზე მკაფიო პოზიცია გამოხატა.

რა თქმა უნდა, საინტერესო იყო საპარლამენტო ოპოზიციის მიერ წამოწეული თემა, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის ქონების დაყადაღებას შეეხებოდა. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ვარაუდობდნენ, რომ გაერო-ს ტრიბუნიდან შიდაპრობლემებზე ღარიბაშვილი საუბარს ვერ გაბედავდა და ყველაფერ ამას გვერდს დელიკატურად აუვლიდა, თუმცა...

„ჩვენ აღვადგინეთ კანონის უზენაესობა, რისთვისაც შევქმენით დამოუკიდებელი სასამართლო და დავაკანონეთ ბრალდებულთა უფრო ფართო უფლებები. ჩვენ წერტილი დავუსვით ხელისუფლების წარმომადგენელთა დაუსჯელობას და წამებასა და შეურაცხმყოფელ მოპყრობას ციხეებში. დღეს საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, არავინ დგას კანონზე მაღლა, ყველა ისარგებლებს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროცესუალური სამართლით“, — ესეც ღარიბაშვილის სიტყვებია.

ცნობისთვის: კანონის უზენაესობა და სამართლიანობის აღდგენა იყო ერთ-ერთი უმთავრესი იმ მოთხოვნათაგან, რომელსაც 2012 წლის არჩევნების წინ ამომრჩეველი ამჟამინდელ მმართველ გუნდს უყენებდა. ის, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო, ფაქტია.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ დღევანდელ მდგომარეობას, პრემიერმა არ დამალა, რომ საქართველო აშკარად უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე ოცი წლის წინ იყო და უკეთესი, ვიდრე ორი წლის წინ და სწორედ კანონის უზენაესობა ბოლო ორი წლის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია.

„ჩემთვის საპატიოა ჩემი ქვეყნის სახელით გამოსვლა გაერო-ში. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიო გახდა საქართველოს განუხრელი ტრანსფორმაციის მოწმე, რომლის მიზანიცაა თავისუფლების, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. უფრო სრულყოფილი და ღია დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენ მივაღწიეთ დიდ წარმატებებს და წავაწყდით გამოწვევებსაც. ჩვენ გაცილებით ძლიერი სახელმწიფო ვართ, ვიდრე ოცი წლის წინ და უფრო ძლიერი, ვიდრე ორი წლის წინ. ჩვენი დემოკრატიული ტრანსფორმაცია ესოდენ რთული პროცესია, არაფერს არ აღვიქვამთ ისე, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. პრეზიდენტ კენედის თუ დავესესხებით, „ამას ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ ეს იოლია, არამედ იმიტომ, რომ რთულია“...

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა რწმენა, რომ საუკეთესო წლები კიდევ წინ გველის,

რომ ყველაზე ცუდი დრო ისტორიას ჩაბარდა. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველთა ერთიანობა ემსახურება ქვეყნის წინსვლისა და ძლიერი, დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სახელმწიფოს რეალობად ქცევას“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

რას შეეხება საგარეო კურსს, საქართველო გეზს არ უხვევს და აშშ-სა და ევროპასთან დასაახლოებლად მაქსიმუმს აკეთებს.

„მზარდი ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაცია არის ჩვენი გზა ევროპული ქვეყნების ოჯახში დაბრუნებისაკენ, რომელთანაც ჩვენ გვაქვს საერთო ისტორია, კულტურა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, - საერთო ღირებულებები. ევროკავშირთან ჩვენი ასოცირების ხელშეკრულება და ნატოს გაწევრიანებისაკენ ჩვენი განუხრელი წინსვლა არის ამ ურთიერთობების საფუძველი და გვთავაზობს უფრო ფართო ჩართულობის გეგმას.

ევროკავშირთან ჩვენი ასოცირების ხელშეკრულება არის ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო ნორმებისა და სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვის გენერალური გეგმა. ჩემი ქვეყანა დაადგა ფართომასშტაბიანი რეფორმების საპასუხისმგებლო გზას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღარიბაშვილის გამოსვლა იმაზე წარმატებული იყო, ვიდრე ვარაუდობდნენ და იმედია, მის მიერ გაჟღერებული მესიჯები, სამომავლო ურთიერთობაში საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით დიდ სარგებელს მოუტანს.

მანქანები შეიძლება 200 დოლარით გაიაფდეს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2014 წლის 1 სექტემბრიდან, ევროპიდან საქართველოში იმპორტირებულ მსუბუქ ავტომობილებზე იმპორტის გადასახადი გაუქმდა. შესაბამისად, იმპორტიორი, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნებიდან მსუბუქი ავტომობილები შემოყავს, ერთ ავტომობილზე, საშუალოდ, 300-დან 500 ლარს დაზოგავს. ექსპერტების გათვლით, ამ ცვლილებით სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალი არ დააკლდება, თუმცა არც ავტომობილები გაიაფდება. რაც შეეხება აქციზის გადასახადს, რომელსაც ავტომანქანის განბაჟების საერთო ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი უჭირავს, არ მცირდება და ამ ტიპის ცვლილება არც იგეგმება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების“ შესაბამისად, 1 სექტემბრიდან, ევროკავშირიდან შემოტანილ და საქართველოდან ექსპორტირებულ 9 000-ზე მეტი დასახელების პროდუქციაზე იმპორტის გადასახადი გაუქმდა. მსუბუქი ავტომობილებიც სწორედ ამ ჩამონათვალშია.

როგორც „ვერსიას“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში განუმარტეს, მსუბუქი ავტომობილი იმპორტის გადასახადისგან იმ შემთხვევაში გათავისუფლდება, თუკი წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი — EUR.1 ექნება. შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ ავტომობილების რეექსპორტის შემთხვევაში, რაც საქართველოში იმპორტირებული ავტომობილების სხვა ქვეყნებში ექსპორტს ნიშნავს, წარმოშობის სერტიფიკატს შემოსავლების სამსახური გასცემს, რომელიც უფასოა. სხვადასხვა ქვეყანაში კი ამ ტიპის სერტიფიკატს სხვადასხვა ფასი აქვს.

მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ 1 სექტემბრიდან ევროპიდან იმპორტირებულ ავტომობილებზე საბაჟო გადასახადი თითქოს გაუქმდა, შემოსავლების სამსახურში კატეგორიულად უარყოფენ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საქონლის იმპორტისას, პირი საბაჟო გადასახადის სახით, იმპორტის, დამატებითი ღირებულებისა (დღგ) და აქციზის გადასახადს იხდის. იმპორტის გადასახადი საბაჟო ღირებულების 0%, 5% და 12%-ია. ხშირად იმპორტის ფიქსირებული შეიძლება ფიქსირებული იყოს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, მხოლოდ იმპორტის გადასახადი გაუქმდა და არა — საბაჟო.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი „მერსედეს 320“-ია, რომლის შეძენის მსურველს 1 სექტემბრამდე ავტომობილის განბაჟებისთვის 2 512 ლარი უნდა გადაეხადა, საიდანაც 2 240 ლარი — აქციზის, 272 ლარი — იმპორტის გადასახადი იყო. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ორმხრივად ამოქმედების შემდეგ, ქართველი მომხმარებელი 272 ლარით ნაკლებს გადაიხდის. „ბეემვე X5“-ს განბაჟების შემთხვევაში, აქციზის გადასახადი — 3 080 ლარი, იმპორტის გადასახადი — 374 ლარია ანუ მყიდველი 374 ლარს დაზოგავს.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ყოველწლიურად 36 000-დან 37 000-მდე მსუბუქი ავტომობილი შემოდის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ ინფორმაციით, 2012 წელს, ევროპიდან 36 426 ავტომობილის იმპორტი განხორციელდა (საერთო ღირებულება 202 500 000 აშშ დოლარი). 2013 წელს, საქართველოში 37 911 ავტომანქანა შემოვიდა (საერთო ღირებულება 204 600 000 აშშ დოლარი). რაც შეეხება 2014 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებს, ევროკავშირის ქვეყნებიდან 91 200 000 აშშ დოლარის ღირებულების 17 725 ავტომანქანის იმპორტი განხორციელდა.

ექსპერტების გათვლით, თუ მსუბუქი ავტომობილის ღირებულება 10 000 აშშ დოლარია, იმპორტის გადასახადის გაუქმებით, საერთო ფასს მხოლოდ 500 აშშ დოლარი მოაკლდება. თუ ავტომობილის ფასი 3 000 აშშ დოლარს არ აღემატება, მხოლოდ — 200-300 აშშ დოლარი.

ლოგისტიკური კომპანია „ისთგეით გრუპის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი იაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ იმპორტის გადასახადის გაუქმების გამო, საქართველოში მსუბუქი ავტომობილების ფასი არ შემცირდება:

„მართალია, 10 000-დოლარიანი ავტომობილის შემთხვევაში, იმპორტიორი 500 აშშ დოლარს დაზოგავს, მაგრამ მანქანა რეალურად, შეიძლება, არც გააიაფოს. თუკი ბაზარზე 10 000 აშშ დოლარად ეყიდება ავტომობილი, იმის გამო, რომ იმპორტის გადასახადს აღარ გადაიხდის, ვერ მოვთხოვთ, რომ საკუთარი პროდუქცია 9 500 აშშ დოლარად გაყიდოს. აქედან გამომდინარე, ამ გადასახადის გაუქმებით დიდ ეკონომიკურ ეფექტს ვერ ვხედავ. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტსაც საკმაოდ მცირე რაოდენობის თანხა მოაკლდება“.

თუ 2014 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოში 91 200 000 აშშ დოლარის ღირებულების 17 725 ავტომობილის იმპორტი განხორციელდა და ამ ციფრს საშუალოდ, 200 აშშ დოლარზე გავამრავლებთ (ჩავთვალოთ, რომ თითოეული ავტომობილის ღირებულებაში იმპორტის გადასახადი 200 აშშ დოლარია), გამოდის, 2014 წლის 7 თვის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტს 3 545 000 აშშ დოლარი უნდა მოაკლდეს, რაც დიდი ციფრი ნამდვილად არ არის. 2013 წელს კი, როცა საქართველოში 204 600 000 აშშ დოლარის ღირებულების 37 911 ავტომობილი შემოვიდა, იმპორტის გადასახადის გაუქმებით, ბიუჯეტს 7 582 200 დოლარი დააკლდებოდა.

ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მსუბუქ ავტომობილებზე იმპორტის გადასახადის გაუქმებას, საქართველოს ავტობაზარზე კარდინალური ცვლილებები არ მოჰყვება. მისი თქმით, ავტომობილების ფასს ორი ძირითადი მდგენელი — მოთხოვნის გაზრდა და აქციზის გადასახადი წარმოშობს:

„მსუბუქ ავტომობილებზე მოთხოვნა იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი შემოსავალი დიდია. რაც შეეხება აქციზს, ავტომობილის ფასთწარმოქმნის სისტემაში, ამ გადასახადს საკმაოდ დიდი წილი აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ აქციზის გადასახადი არ შეიცვლება. აქედან გამომდინარე, ავტომობილების გაიაფებას პირადად მე, არ ველი, თუმცა იმპორტის გადასახადის გაუქმებაც, მეტ-ნაკლებად, შეღავათად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ავტომობილები, საშუალოდ, 200 აშშ დოლარით გაიაფდება“.

ლევან კალანდაძის თქმით, ფასთწარმოქმნაში იმპორტის გადასახადი მხოლოდ საბოლოო პროდუქტზე კალკულირდება. შესაბამისად, იმპორტის გადასახადის გაუქმებას, საბოლოოდ, პროდუქტის ფასის შემცირება უნდა მოჰყვეს. ექსპორტი ისედაც არ იბეგრებოდა და თუ იმპორტის გადასახადის შემცირებით რომელიმე იმპორტიორი პროდუქციას გააიაფებს, ცხადია, მას კონკურენტებიც მიბაძავენ, რასაც არა მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების, არამედ, იმ 9 000-ზე მეტი დასახელების იმპორტირებული საქონლის გაიაფებაც უნდა მოჰყვეს, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნით, 1 სექტემბრიდან იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლდა, თუმცა ლევან კალანდაძე იმასაც აღნიშნავს, რომ იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების კარდინალურ ცვლილებას არ ელის, რადგან იმპორტის გადასახადი არცთუ დიდია და მის გაუქმებას სხვადასხვა პროდუქციის, მათ შორის, მსუბუქი ავტომობილების ფასში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება მოჰყვება.

დიდი ფულობა ქართულ ფეხბურთში

ის, რასაც ფეხბურთი ჰქვია, საქართველოში არ არსებობს

გიორგი იაშვილი

დაახლოებით რვა წლის წინ უკრაინის ჩემპიონატში რამდენიმე საეჭვო მატჩი დაფიქსირდა. ადგილობრივი მედია მსაჯებზე აპელირებდა და ამბობდა, რომ კლუბები არბიტრების მოსყიდვით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მაშინ უკრაინელმა სამართალდამცავებმა ვერაფერი აღმოაჩინეს, თუმცა გამოსავალი ფედერაციამ იპოვა — შექმნა ფონდი და მსაჯებს ევროპიდან იწვევდა. შესაბამისად, უკრაინულ სტადიონებზე ისეთი ცნობილი მსაჯები სტვენდნენ, როგორებიც პიერლუიჯი კოლინა და მარკუს მერკი არიან. თითო შეხვედრაში კი მათ უკრაინული მხარე 5-დან 12 ათას ევრომდე უხდიდა...

გასულ კვირას საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მომუშავე რვა არბიტრი დააკავეს და წინასწარი ორთვიანი პატიმრობაც შეუფარდეს. ბრალდებულები არიან: ოთარ ხეთაძე, ირაკლი ურუშაძე, მამუკა ურუშაძე, თეიმურაზ ხუჭუა, ალექსანდრე გუნთაძე, ზვიად ასკაროღლი, ონისე მოლოდინაშვილი და თორნიკე გვანცელაძე. მათ ბრალი ედებათ, რომ წინასწარი შეთანხმების შემდეგ, კონკრეტულ შეხვედრებზე ყვითელი ბარათების კონკრეტულ რაოდენობას სვამდნენ. შედეგად, ტოტალიზატორში ფული იხსნებოდა და ამ თანხიდან, დაახლოებით, სამი ათასი დოლარი მსაჯებს ერგებოდათ. თვეში ოთხი მატჩი და შესაბამისად სამჯერ ოთხი ათასი ცუდი ნამდვილად არ არის, თუმცა...

ვიდრე ბრალდებულებისკენ ხელს გავიშვერთ, ის ვთქვათ, რომ ოფიციალურად მსაჯები თითო მატჩის განსჯის სანაცვლოდ სამოც ლარს იღებენ. ამას გარდა, მათ ხელფასიც აქვთ, მაგრამ დაახლოებით ამ 60 ლარის შესაბამისი. შედეგად, მსაჯებს ამ ფასად უწევთ ტრიბუნებიდან მაყურებლების მიერ ერთხმაში „ნამღერი“ „სუდია პიდარასტ“-ის ატანა, გინების მოსმენა და ათასი უბედურება. არაერთი შემთხვევა ყოფილა, მსაჯები მატჩის შემდეგ უცემიათ და არავინ დასჯილა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი 2009 წელს მომხდარი ინციდენტია, როცა ბოლნისში გამართული მატჩის შემდეგ, მსაჯთა დამკვირვებელი კომიტეტის ხელმძღვანელი ამირან კაჭახიძე ქვემო ქართლის მაშინდელმა გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ისე სცემა, ტვინის შერყევით ჯერ საავადმყოფოში, მერე კი სახლში მკურნალობდა, თუმცა მაშინ კაჭახიძემ თქვა, არაფერი მახსოვსო...

2011 წელს, ისევ გარიგებული მატჩების ბრალდებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა საფეხბურთო კლუბ „სამტრედიის“ კაპიტანი სპარტაკ გოგია, ფეხბურთელი კახაბერ კირთაძე, ზუგდიდის „ბაიას“ კაპიტანი როინ ონიანი, ფეხბურთელი ლევან ვართაგავა და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი გიგა ბეჭვაია დააკავა. მაშინ ისინი ჯერ თავდებით გაათავისუფლეს, შემდეგ — საპროცესო შეთანხმებით. ფეხბურთის ფედერაციამ ყველას სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა, თუმცა ექვს თვეში ეს დისკვალიფიკაცია გააუქმა და ფეხბურთელებს მოედანზე დაბრუნების შესაძლებლობა მიეცათ. ისინი დღემდე აქტიურად თამაშობენ და არცთუ ურიგოდ.

ყველაზე გახმაურებული მაინც 2010 წელს განხორციელებული დაკავება იყო. სამართალდამცავებმა ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი გიორგი დემეტრაძე დააკავეს. მაშინ, მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას, ე.წ. ხელზე გამაზვა მიდიოდა და მოგებულ-წაგებულის გარკვევა-გარჩევა თბილისში უცხო არ იყო.

დასასრული მე-7 გვერდზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რას უმზადებს არასაპარლამენტო ოპოზიცია „ოცნებას“

ზურაბ ხარაფიშვილი წინასაარჩევნო ბლოკების შექმნის აკრძალვას ითხოვს

მართალია, ახალი პოლიტიკური სეზონი კარგა ხანია, დაიწყო, მაგრამ არასაპარლამენტო ოპოზიციას გამოცოცხლების ჯერ არაფერი ეტყობა. როგორც ოპოზიციის ამ ფრთის წარმომადგენლები ამბობენ, სპექტრის შიგნით გადაჯგუფება და საერთო საკითხებზე შეთანხმება მიდის, დაახლოებით, ერთ თვეში კი, შედარებით გააქტიურდებიან. აპირებს თუ არა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და რა იქნება არასაპარლამენტო ოპოზიციის მთავარი მოთხოვნები?

— „ვერსიას“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ექსთავმჯდომარე, პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ ლიდერი ზურაბ ხარატიშვილი ესაუბრა:

— ბოლო ორმა არჩევნებმა აჩვენა, რომ სერიოზული ხარვეზები მხოლოდ საარჩევნო გარემოსი კი არა, პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისითაც გვაქვს, რაც რომელიმე კონკრეტული ხელისუფლების პრობლემები არაა — სისტემა ისეა აგებული, „ნაცები“ იქნებიან თუ „ქოცები“, უპირატესობას ყველა სათავისოდ გამოიყენებს. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან სუსტი პოლიტიკური სპექტრი გვყავს როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში. ახლა არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსულტაციები მიდის, რათა პოლიტიკურ გარემოში გასატარებელ ცვლილებებზე შევთანხმდეთ.

— კონსულტაციები ვისა და ვის შორის მიდის?

— ამ მომენტში იმის ძიება მიდის, არასაპარლამენტო ოპოზიციაში რა კონფიგურაცია ჩამოყალიბდეს და რა შეიძლება იყოს ჩვენი საერთო მიზანი. პროცესში მთელი ოპოზიცია ჩაერთვება. ვისაც აქამდე არ დავლაპარაკებივართ, დაველაპარაკებით, რადგან ჩვენთვის პოლიტიკური მინუსი არ არსებობს.

— მინუსი ისაა, რომ, როცა ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტი დატოვეთ და ოპოზიციაში წახვედით, ნაციონალის იარლიყი მოგეკერათ. ასეთი სასტარტო პირობებით საკუთარ თავს მაღალ რეიტინგს უწინასწარმეტყველებთ?

— გაცილებით ნაციონალური ის იქნებოდა, პოსტზე რომ დავრჩენილიყავი და სუბიექტური ვყოფილიყავი. მაშინდელი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, არ მინდოდა, პრობლემების საფუძველი ვყოფილიყავი. ყველა არჩევნებს ხელისუფლება ატარებს, მე კი ან მისი მიმართულებით, ან მის საწინააღმდეგოდ მოძრაობა მომიწევდა, ამიტომ სწორად მოვიქეცი, რომ წამოვედი, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2012 წლის ნოემბრიდან „ოცნება“ იქ მაინც თავის მარიონეტს დასვამდა და ვითარება უფრო დამძიმდებოდა. დღეს კი, ამ პოსტს მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღები კანდიდატი იკავებს. დღეს ცესკო-ში თითქოს პოლიტიკური ბალანსი დაცულია, მაგრამ დეკემბერ-იანვარში დაირღვევა, როცა 4 წევრი ისევ პარლამენტის დასანიშნი იქნება. 5 წევრი ოფიციალურად დანიშნული ისედაც „ოცნებიდანაა“, მერე პარლამენტი კიდევ არაოფიციალურ 4 წევრს დაამატებს და ცესკო მთლიანად სახელისუფლო გახდება. რაც შეეხება ჩემს შანსებს, ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ ამომრჩევლის 30% არც ერთ ძალას არ ენდობა, 4%-მა კი არ იცის, მხარი ვის დაუჭიროს. ასევე თუ ხელისუფლებას იმ 20%-ს დავაკლებთ, რაც ყველა მთავრობის ადმინისტრაციული რესურსია, ვნახავთ, რომ „ოცნების“ რეიტინგი 22%-ია, ნაციონალებისა კი 11%. დანარჩენ ოპოზიციას 10% აქვს და ასათვისებელი ძალიან დიდი პოლიტიკური სეგმენტია, ასე რომ, ნებისმიერ ძალას აქვს შანსი, ზვავის ეფექტით გაიზარდოს და გაძლიერდეს.

— ამ შანსის გამოყენებას როგორ აპირებთ?

— ამ წუთას ოპოზიციას და, მათ შორის, ჩემს პარტიას ქვეყნის ამოსატრიალებელი რესურსი არ გააჩნია, მაგრამ ძალა ერთობაშია! სხვათა შორის, როცა ცხვრის ფარა ტრიალდება, ვინც ბოლოშია, შეიძლება, თავში აღმოჩნდეს. ბოლო დროს, „ოცნებისადმი“ უკმაყოფილების მუხტი მკვეთრად იზრდება, რაც ნაციონალური მოძრაობის დამსახურება არაა. სახეზეა უხეში შეცდომები... ასე რომ, ხელისუფლება თავად იქმნის პრობლემებს. ერთადერთი, რაც ხალხის უკმაყოფილების მუხტს აჩერებს, ისაა, რომ „ოცნების“ ალტერნატივა არ ჩანს, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნებისა კი, მით უმეტეს, ახლო მომავალში, არ მჯერა.

— საუბარი ვადამდელი არჩევნების მოთხოვნისკენ მიგყავთ?

— თუ რამე საოცრება არ მოხდა, ვადამდელი არჩევნები ამ ეტაპზე გამორიცხულია. ვფიქრობ, 2016 წლამდე „ოცნება“, კოალიციაში შემავალი პარტიების ურეიტინგობიდან გამომდინარე, თუ რაიმე ექსტრაორდინალური არ მოხდა, ერთიანი კოალიციის სახით მივა. „ოცნების“ ტივტივის მიზეზი ახლა ყოფილი პრემიერის ქოლგისქვეშ ყოფნაა, თუმცა ისეთ პოლიტიკურ ძალასაც ვერ ვხედავ, ვისაც ვადამდელი არჩევნები აწყობს. საარჩევნო გარემო კი კატასტროფულია და ხელისუფლებისთვის, მინიმუმ, 20%-იან ფორას უზრუნველყოფს. ამ სისტემის ერთ-ერთი უდიდესი მინუსი ისაა, რომ ცოტა მეტი ხმის მქონე პარტია იღებს ყველაფერს და მეორე ძალა არაფერს; მეორე თემაა წინასაარჩევნო კოალიციების შექმნის საკითხი — 1%-ზე დაბალი რეიტინგის მქონე პარტიები, რომლებიც კოალიციაში შევიდნენ, დღეს ქვეყნის სათავეში არიან და მმართველ პოსტებს იკავებენ.

— ბატონო ზურაბ, გგონიათ, საარჩევნო ბარიერს, კოალიციის გარეშე, თქვენ ან რომელიმე სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია გადალახავთ?

— პარლამენტი, პრეზიდენტთან ჭიდილის დროს, მუდმივად აცხადებს, საპარლამენტო რესპუბლიკა ვართო, არადა, ამ ტიპის მმართველობის ქვეყნებში ბლოკები წინასაარჩევნოდ კი არ კეთდება, პარტიები ჯერ დამოუკიდებლად შედიან პარლამენტში და მერე ერთიანდებიან. შესაბამისად, პირველ რიგში, საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს — პროპორციული უნდა გახდეს, რეგიონულ-პროპორციული ღია სიებით, მაჟორიტარული სისტემა კი გაუქმდეს. ეს ყველაზე სამართლიანი იქნება. ასევე უნდა შეიზღუდოს წინასაარჩევნო ბლოკების შექმნა და ბარიერიც 1%-მდე ან ბუნებრივამდე დაიწევს, რაც ჩვენს შემთხვევაში 0,67% გამოდის. პატარა ჯგუფებს პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელი ეყოლებათ, საარჩევნო დარღვევებიც ბევრად ნაკლები იქნება, რადგან დარღვევების 90% მაჟორიტარულ არჩევნებზე, რაიონებში მოდის.

— ეს არც მაჟორიტარებს მოეწონებათ და არც „დაბალპროცენტიანებს“. ამ იდეების ხორცშესხმას როგორ აპირებთ?

— „ოცნება“ ამდენი წელი საარჩევნო სისტემას აკრიტიკებდა, ბოლო ორ არჩევნებზე კი კარგად მოირგო და შეირგო. სამუშაო საკმაოდ დიდია. ჯერ არასაპარლამენტო ოპოზიციის ბირთვი უნდა ჩამოყალიბდეს და მერე დაიწყოს საუბარი საზოგადოებასთან, არასამთავრობო სექტორთან, მედიასთან, უცხოურ ორგანიზაციებთან... ეს ისეთი საკითხებია, რაზეც ღიად წინააღმდეგი არავინ წავა. დაახლოებით, ერთ თვეში, არასაპარლამენტო ოპოზიცია პოზიციებს შეაჯერებს. აქ არაა საუბარი საარჩევნო ან პოლიტიკურ გაერთიანებებზე. ვერც იმას გეტყვით, ქუჩაში გამოვალ და ვირბენ-მეთქი — აქციები ის მეთოდი არაა, რითიც მსგავსი საკითხები უნდა გადაწყდეს. ასე რომ, ჯერ ჩამოვყალიბდებით და ამის მერე პირველი, ვისთანაც კონსულტაციები დაიწყება, სწორედ ხელისუფლება და საპარლამენტო ოპოზიცია იქნება. დაველაპარაკებით „ოცნებასაც“, ნაციონალებსაც და ვეცდებით, 2015 წლის შემოდგომისთვის ცვლილებები უკვე მიღებული იყოს.

ბაქო-ჯეიჰანის სარკინიგზო მაგისტრალის გაქურდვისთვის ორი დაჯგუფება დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბაქო-ჯეიჰანის სარკინიგზო მაგისტრალის გაქურდვის ფაქტზე 10 პირი დააკავეს, ხოლო 1 მოქალაქეს ამავე დანაშაულისთვის ბრალი წარედგინა.

სამართალდამცველებმა 5 პირი – 1984 წელს დაბადებული გიორგი ჯ, 1991 წელს დაბადებული გიორგი ქ, 1986 წელს დაბადებული ზვიად ბ, 1980 წელს დაბადებული გიორგი ჯ. და 1985 წელს დაბადებული გიორგი ყ. იმ დროს დააკავეს, როცა ისინი თეთრიწყაროს რაიონში, სარკინიგზო მაგისტრალის ბედენის ზეგანის მონაკვეთზე საკონტაქტო სადენებს ჭრიდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ 5 პირი – 1982 წელს დაბადებული გიორგი ნ, 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზაზა მ, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დავით მ, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვასილ ძ. და 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შალვა ძ. დააკავეს, ხოლო 1987 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ლაშა ბ-ს ამავე დანაშაულისთვის წარედგინა ბრალი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ბაქო-ჯეიჰანის სარკინიგზო მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთზე საკონტაქტო სადენები მოჭრეს და სარეალიზაციოდ ამზადებდნენ. კომპანიისთვის მიყენებულმა ზარალმა 52 000 ლარი შეადგინა. შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მოპარული სადენები. ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვესიანიუსი“

დიდი ფულობა ქართულ ფეხბურთში

მე-6 გვერდიდან

ამ შარში გაეხვია დემეტრაძეც, ციხეშიც გაისტუმრეს და ეს მაშინ, როცა მისი ყოფილი კლუბის, დონეცკის „მეტალურგის“ პრეზიდენტი აცხადებდა, საპროცესო შეთანხმება თუ გაფორმდება, მზად ვარ, რამდენიმე მილიონიც კი გადავიხადოო, თუმცა დემე ციხეს ვერ გადაურჩა. „ხელზე გამაზვები“ საქართველოში ახლაც ხდება და არავინ თქვას, სპორტის ეს მანკიერი მხარე გაქრაო. ზოგადად, სპორტი და განსაკუთრებით, ფეხბურთი უკვე დიდი ბიზნესია და საქართველოში თუ ათასებზეა საუბარი, ევროპის მასშტაბით ეს თანხა ათობით მილიონს ურტყამს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, როცა ევროპაში ანალოგიურ საქმეზე ვინმეს იჭერენ და დისკვალიფიკაციას აძლევენ, მისი მოხსნა აღარც კი განიხილება და, თუ განიხილება, ასიდან ას შემთხვევაში, დისკვალიფიკაცია ძალაში რჩება, ჩვენთან კი...

ვიდრე მსაჯების თემაზე ავტეხდეთ განგაშს, ის ვიკითხოთ, ევროპის წამყვანი ტოტალიზატორები („უილიამ ჰილი“, „ბეთ ენდ ვინი“, „მარაფონი“) რატომ არ თამაშობენ საქართველოს ჩემპიონატს?! არადა, ამის მცდელობა სამივეს ჰქონდა, მაგრამ, როცა სერიოზული თანხები წააგეს, პროგრამიდან საქართველოს ჩემპიონატი მაშინვე გაქრა. ცნობისათვის: „უილიამ ჰილის“ ერთ-ერთი ბროკერი ამბობდა, საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე მხოლოდ ყვითელი ბარათებისა და კუთხურების რაოდენობას კი არ იცნობდნენ, არამედ, იმასაც, რომ შეხვედრაში პენალტი დაინიშნებოდა და ამ პენალტს მეკარე მოიგერიებდაო... იმავე ტოტალიზატორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტად ამ მხრივ კორუფცია ბულგარეთსა და ხორვატიაში ჰყვავის, მაგრამ ორივე ქვეყნის ჩემპიონატს „ულიამ ჰილის“ კანტორა თამაშობს, საქართველოსას — არა.

არ გეგონოთ, პრობლემა მხოლოდ მსაჯებშია. საქართველოში ჩემპიონატიდან ფეხბურთელები აზერბაიჯანში, ყაზახეთში, მალტაში, უზბეკეთში გარბიან და გარბიან იმიტომ, რომ იქ ბევრად მაღალი ხელფასები აქვთ. ფეხბურთელებს საქართველოში, ორიოდე კლუბის გარდა, კვების რაციონიც კი არ აქვთ შედგენილი და ეს მაშინ, როცა ევროპაში უპირველეს ყურადღებას სწორედ იმას აქცევენ, რამდენად სწორად იკვებება ფეხბურთელი. არ არის საუბარი ავტომობილის გამოყოფაზე და სავარჯიშო პირობებზე. არ არსებობს ინფრასტრუქტურა, არ არსებობს კლუბების მაღაზიები, სადაც გულშემატკივრები ამუნიციას იყიდიან, არ არსებობს სავარჯიშო ფორმის სრული კომპლექტი და ზოგადად, არაფერი არსებობს. საქართველოში ფეხბურთი მანამ ვერ იქცევა ნამდვილ ბიზნესად, ვიდრე ხელისუფლება ფეხბურთში ფულის ჩამდებ ბიზნესმენებს შეღავათებს არ მისცემს. ასე მოხდა რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და ამ ჩემპიონატებში კლუბების ბიუჯეტი 5 მილიონიდან იწყება (რუსეთსა და უკრაინაში 20-30 მილიონია) და შედეგიც სახეზეა.

მსაჯებზე ხელის შეწმენდა იოლია, მაგრამ ისიც ვთქვათ, რამდენი ჩვენგანი გაუძლებს 3-ათასდოლარიან ცდუნებას მაშინ, როცა 90 წუთ სირბილში 60 ლარს გიხდიან და ამ 90 წუთის განმავლობაში ტრიბუნებიდან გაგინებენ. ისიც საფიქრებელია, რომ ამაზე წამსვლელ მსაჯებს კარგად ახსოვდათ, დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებს სასჯელი ექვს თვეში რომ მოუხსნეს და იფიქრეს ალბათ, რაღა ჩვენ გაგვიმეტებენო. დამნაშავე რვა მსაჯი კი არა, ის სისტემაა, ჩვენ რომ ფეხბურთს ვეძახით და სპორტის ამ სახეობასთან საერთო არაფერი აქვს.

დასასრულ, ერთხელ, ქართული კლუბის მწვრთნელს მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე წამოსცდა, ბიჭებს რა მოვთხოვო, სიგარეტის ფულიც არ აქვთო... ქართული ფეხბურთი სწორედ ასეა — სიგარეტის ფულიც არ არის...

პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების დროს, წინასაარჩევნოდ ბიზნესმენებისთვის ფულის შეწერა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბევრმა, ვინც ფული არ გადაიხადა, ციხეში მოხვდა და შემდეგ, თავის დასახსნელად მთელი ქონება ხელისუფლებას გადააბარა, ჯიუტები და პრინციპულები კი „ლიანდაგივით სროკს“ იღებდნენ და სასჯელს იხდიდნენ...

იტალიაში მცხოვრებ ქართველ მილიონერს, რომელმაც გივი თარგამაძეს მილიონი არ მისცა, ნაციონალებმა 30-წლიანი „სროკი“ მიარჭეს?!

პატიმარ №0578-ს დიმიტრი ბ. ზონაზე დახვდა. უფრო ზუსტად კი, როცა რუსთავის №17 დაწესებულებაში მიიყვანეს, დიმიტრი მაშინვე თვალში მოხვდა, განსხვავებულად ეცვა. „ჯან ფრანკო ფერეს“ მაისურითა და „ადიდასის“ სპორტულებით დიმიტრი აშკარად გამოირჩეოდა — ეტყობოდა, თავისუფლებაზე შეძლებული პატრონი ჰყავდა. მესამე დღეს, დიმიტრიმ №0578-ს მხარი გაჰკრა. პატიმარმა შეუბღვირა, დიმიტრიმ არ დაუთმო და საბოლოოდ, ორივე მაყურებლების საკანში დაიბარეს.

„ჩვენი ძმა, გასაგებია, რომ მხარი გაგკრა და არ მოგეწონა. ამისთვის ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ასე საჯაროდ კაცი ფეხის ნასოსივით აკაჩაო, არ არის ლამაზი. მით უმეტეს, რომ დიმიტრი ვიღაც არ არის, ესეც ჩვენი ძმაა და ახლოს როცა გაიცნობ, თავად მიხვდები“, — აუხსნეს №0578-ს და მასაც არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს, დიმიტრიმ 67-ე საკნის კარი შეაღო, იქ მყოფებს მიესალმა და იმ ნარისკენ დაიძრა, რომელზეც პატიმარი №0578 ისვენებდა. უხმოდ ჩამოჯდა, მერე ცელოფანი გახსნა და მაისური ამოიღო. მაისურს აშკარად ეტყობოდა, რომ ევროპიდან იყო გამოგზავნილი და „დოლჩე-გაბანას“ სიმბოლიკაც ამშვენებდა.

„მე შენ ტრიაპკების მონა გგონივარ და ახლა გინდა, ამ მაისურით კეთილგანწყობა მოიპოვო?! არ გამოგივა, გუშინ შენ მტყუანი იყავი და მერიდე“, — შეუბღვირა პატიმარმა, მაგრამ დიმიტრის გაეღიმა.

„თბილისელი ბიჭი ვარ, არ მეშლება ასეთი რამეები, გუშინაც მოგიხადე ბოდიში და ახლაც გიხდი. ეს მაისური ბევრი მაქვს, თუ გინდა, გაჩუქებ, თუ არა და, უკან წავიღებ. ეს კეთილგანწყობის კი არა, მეგობრობის ნიშანია. ნუ იბღვირები, ჩაი დავლიოთ და უკეთ რომ გამიცნობ, მიხვდები, რომ არ ვარ სხვა ტიპი“, — ღიმილით უთხრა დიმიტრიმ.

პატიმარი წამოდგა, უხმოდ მოადუღა ჩაი და დიმიტრისთან ერთად დალია. მერე მაისური უკან გაატანა და სხვა დროს მაჩუქეო, ღიმილით უთხრა. ამის შემდეგ დიმიტრი 67-ე საკანში ხშირად მიდიოდა, საინტერესო ამბებს ჰყვებოდა და რამდენიმე თვეში №0578-ის საუკეთესო მეგობარი გახდა. მაისური არცერთს აღარ უხსენებია და ძირითადად თავისუფლების ამბებს იხსენებდნენ. ერთ დღესაც, როცა „მალინის“ ჩაის წრუპავდნენ, №0578-მა ღიმილით ჰკითხა: — როდის უნდა მომიყვე, ეს მილიონერი კაცი ციხეში როგორ მოხვდი?!

დიმიტრის სახე შეეცვალა, ჩაის ჭიქა დადგა, სიგარეტს მოუკიდა და რამდენიმე ნაფაზის შემდეგ დაიწყო:

ჩემი ძმა და მე იტალიაში წლების წინ წავედით. რომში რომ ჩაფრინდა ბოინგი და იტალიის მიწაზე ფეხი დავდგით, ჯიბეში 250 დოლარი გვედო. ეს იყო ჩვენი ავლადიდება და ამით უნდა დაგვეწყო ყველაფერი. თბილისში ორივემ ცოლ-შვილი და მოხუცი მშობლები დავტოვეთ. მუშაობა მშენებლობაზე დავიწყეთ, ხის ფინურ კოტეჯებს ვაწყობდით. არ იყო ცუდი საქმე, ნორმალურად გვიხდიდნენ და ერთ დღეს ჩემმა ძმამ თქვა, დაახლოებით, 100 მუშა ვართ, ყველას სახლიდან მოაქვს საკვები და ჰოთ-დოგის აპარატი რომ დავდგათ და ქალი დავაყენოთ, ცუდი არ იქნებაო. ასე დავიწყეთ, ჰოთ-დოგის ერთი აპარატით და ორ კვირაში ფიცრებისგან შეკრული პატარა „ზაბეგალოვკა“ გავხსენით, სადაც მხოლოდ საკვები იყიდებოდა მუშებისთვის...

ორიოდე თვეში, ჩვენთან სიარული ქალაქიდან დაიწყეს. საჭმელს ჩემი ძმა ამზადებდა და ქართული რეცეპტებით აკეთებდა ყველაფერს. როგორც ჩანს, მოეწონათ იტალიელებს და მალე უკვე რომში, ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონე დაგვადგა, ჩემთან იმუშავეთ მზარეულადო. ასე გადავედით რესტორანში, თუმცა ის „ზაბეგალოვკა“ არ გაგვიჩერებია. საბოლოოდ, იმდენი დავაგროვეთ, რომ იმ ფიცრულის ნაცვლად, პატარა ბისტრო გავხსენით, კაპიტალური, ბლოკით ნაგები. ორი წლის შემდეგ, რომში სამი ასეთი ბისტრო გვქონდა, კიდევ ორი წლის შემდეგ კი — ათს გავცდით. ეს უკვე სერიოზული ბიზნესი იყო, ცოლ-შვილი წავიყვანეთ იტალიაში, სახლებიც ვიყიდეთ და ტრაბახით არ ვიტყვი, ერთ-ერთი პირველები ვიყავით ქართველებიდან, ვინც საზღვარგარეთ მილიონი იშოვა...

საქართველოში მხოლოდ მშობლების სანახავად ჩამოვდიოდით. უბნიდან 12 ბიჭი წავიყვანეთ და ვერცერთი იტყვის, რომ ლუკმა-პურის გარეშე დავტოვეთ. ყველა კარგად იყო და თბილისში დატოვებულ ოჯახის წევრებს კარგად პატრონობდნენ. ბიზნესის აქეთ გადმოტანა არც გვიფიქრია — ვიცოდით, აქ რაც ხდებოდა და სურვილი არ გვქონდა, ვინმესთან „გვეკაჩავა“. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვსინჯეთ ნიადაგი და მივხვდით, რომ უარესი იწყებოდა...

2008 წლის არჩევნების წინ, ტიპმა დამირეკა, გივი თარგამაძე ვარო. ვიცოდი, ვინც იყო, თბილისელი ვარ, რა... საარჩევნოდ მილიონი მინდაო. მქონდა, როგორ არ მქონდა, მაგრამ... არავისტი ვარ და მაგრად მეკიდა, რა, ეს პოლიტიკა. იმიტომ კი არ მივეცი, რომ ნაციონალები არ მომწონდნენ ან გაქანებული ოპოზიციონერი ვიყავი... არა, უბრალოდ, არ მივეცი. ჩემი პრინციპი მაქვს — ფული არასდროს არავისთვის წამირთმევია და არც სხვას წავართმევინებ, რა. ავუხსენი ეს გივიას და „ხარაშოო“, მითხრა. არჩევნების დასრულებიდან ზუსტად ერთ თვეში მამიდა დამეღუპა. ჩამოვედი და აეროპორტში დამანარუჩნიკეს, ყაჩაღობაზე იძებნებიო. გამეცინა, მაშინვე იტალიაში გავაკეთე ზარი და ჩემი ადვოკატები ჩამოვიდნენ. თურმე, თბილისში მიყაჩაღია და რიცხვი როცა მითხრეს, ადვოკატებიდან ერთ-ერთი მაშინვე იტალიაში დავაბრუნე. იმ რიცხვში რომაული დერბი იყო ფეხბურთში, რომა-ლაციოს თამაში და სტადიონზე ვიყავი. ბილეთის გარდა, მაგ თამაშზე კადრში ვარ მოხვედრილი, კამერას რომ გულშემატკივრებისკენ მიატრიალებენ, აი, მაგ მომენტში, რა. ჩამოვიდა ჩემი ადვოკატი იტალიიდან, ჩამოიტანა ბილეთი, იმ მატჩის ვიდეოფირი და სტადიონიდან ამოღებული ჩანაწერები, სადაც ჩანს, როგორ შევდივარ სტადიონზე, შესვენებისას როგორ ვყიდულობ საკვებს და გამაგრილებელს...

ჰოდა, სწორედ ამ ვიდეომ და ბილეთმა დამღუპა. დაასკვნეს, რომ მე ეს სპეციალურად გავაკეთე, ალიბი რომ შემექმნა, მერე უკანონოდ გადმოვკვეთე საქართველოს საზღვარი (გამოძიებისთვის დაუდგენელი გზით), ვიყაჩაღე თბილისში და უკან გადავედი ასევე დაუდგენელი გზით. ყველაფერი ეს აკინძეს, შეკრიბეს, საზღვრის გადაჭრა ორჯერ დაამატეს და შენს დიმიტრის 30 წელი „თხარეს“. ვზივარ ახლა და შენ გიყვები ამ ამბავს და თუ რამე არ გვეშველა, აქედან ცოცხალი ვერ გავალ. თარგამაძის პირით შემომითვალეს, რვა მილიონი გადაიხადოს და მიშა შეიწყალებსო. იმდენი მაგათი დედაც რვაჯერ, რაც მე მაგათ კაპიკი არ მივცე. ჩემი ძმა იტალიაშია, ჩემი ცოლ-შვილიც და დედაჩემს ხომ არ დაიჭერენ, 80 წელს მიუკაკუნა უკვე...

№0578 ჩუმად უსმენდა, მერე გაიღიმა და დიმიტრის ჰკითხა: — ბიჭო, ის მილიონი რომ გადაგეხადა, ეს „სროკიც“ აგცდებოდა. ახლაც ფიქრობ, რომ არ გიღირდა?!

„არა, არ მიღირდა. ამათ მუხრუჭი არ აქვთ, აუცილებლად გადაიჩეხებიან სადმე, დაიმახსოვრე შენ ჩემი სიტყვები. ჩემი დრო აუცილებლად მოვა, აუცილებლად“, — ჩუმად თქვა დიმიტრიმ და ოთახიდან გავიდა.

ერთი თვის შემდეგ, დიმიტრი სხვა ზონაზე გადაიყვანეს. მეორე დღეს, როცა რუსთავის №17 დაწესებულება გაიღო, №0578-თან დიმიტრის თანასაკნელი მივიდა და ცელოფნით რაღაც მიაწოდა, დიმიტრიმ შენთვის გადმოსაცემად დატოვაო. პატიმარმა ცელოფანი მშვიდად გახსნა, ჩახედა და თვალში „დოლჩე-გაბანას“ სიმბოლიკა მოხვდა... დიმიტრი ციხიდან 2013 წლის დასაწყისში გავიდა, დღემდე იტალიაში ცხოვრობს და თავის ბიზნესს ამუშავებს.

გოქან ოზქანის ქართული ფესვები

ბაიარ შაჰინის ნათესავმა და ანსამბლის წევრმა საპატრიარქოს სტუდიაში ქართული სიმღერების აღბომი ჩაწერა

ნათია ნოდია



„ძაან მიყვარს ქართველები. რატომ, იცი? — სულ მღერიან, ფანდურზე უკრავენ... ოჯახში ყველა მღერის. შეიძლება, მუსიკოსი არ იყოს, მაგრამ მაინც მღერის. ბავშვი, დიდი...“ — ამბობს თურქეთში მცხოვრები ქართველი გიორგი კიკნაძე, რომელსაც მეზობელ ქვეყანაში გოქან ოზქანად იცნობენ. გიორგი, რომელიც პროფესიით მუსიკოსია, ბაიარ შაჰინს ენათესავება — მათიბებიები დეიდაშვილები ყოფილან. „ვერსია“ თურქეთში ქართველების ყოფით დაინტერესდა.

— მაჭახელადან ვარ. ჩვენი ძველები (წინაპრები) —კიკნაძეები მაჭახელაში იმერეთიდან ჩამოსულან. ვიდრე საქართველო-თურქეთის ომი დაიწყებოდა (1770-იან წლებში), მაჭახელა 16 სოფლით იყო, მერე 6 სოფელი თურქეთში დარჩა, დანარჩენი ბათუმშია. ჩემს სოფელს კვაბითავი ჰქვია, ქართული სახელია. შინ ქართულად ვლაპარაკობთ. ჩემმა ბებიამ არც იცოდა თურქული. სტამბოლში დავიბადე, დედ-მამა მაჭახელადანაა. მე და ჩემი და ვმღერით. რა თქმა უნდა, ქართულად. თორმეტი წელია პროფესიონალი მუსიკოსი ვარ. წელს ოცდაშვიდი წლის გავხდი. მუსიკით ვცხოვრობ და მინდა, სიმღერით მოვიარო მშობლიური საქართველო. ხშირად დავდივარ თბილისში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ქართულად კარგად არ ვლაპარაკობ, მაგრამ ვცდილობ. ყველაფერს ვიგებ ხოლმე, ვსწავლობ თქვენ ქართულსაც. ჩვენს სოფელში ცოტა სხვანაირი ქართულია: რას შვრების მაგივრად, ამბობენ — რა ჯების ანუ ძველი ქართულით. საინტერესო სიტყვები გვაქვს. პირველად რომ მოვედი, კარგად ვერ ვლაპარაკობდი ქართულად. უფრო სწორად, ვლაპარაკობდი, მაგრამ არ ესმოდათ ჩემი ქართული. სასაცილო იყო, მაგრამ მაინც ვაგებინებდი.

დასაოჯახებელი ვარ. მეუღლე ქართველი უნდა მყავდეს. არ აქვს მნიშვნელობა, საქართველოსი თუ აქაური. შეიძლება, მაჭახელადან იყოს, როგორც ჩვენი წესია. მთავარია, ქართველი იყოს... ფანდურსა და აკორდეონზე ვუკრავ

— გიორგი, საქართველოში პირველმა ვიზიტმა შენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?

— ქართველები ძალიან თბილი ხალხია. ერთმანეთთან ახლობლობენ. მიყვარს საქართველოს ხალხი. ჩემს ოჯახს უხარია, რომ ქართულ საქმეს ვაკეთებ და ფოლკლორი მაინტერესებს. პირველად რომ მოვედი, „ჩვენებურების“ ფესტივალის გარდა, ილია მეორეს დაბადების დღე იყო სამებაში. იქ ვიყავი. ძალიან საინტერესო იყო. ილია მეორე გავიცანი და ძალიან გახარებული ვარ. მაგარი დღე იყო ძალიან. მომეწონა თბილისი, უფრო სწორად, ძველი თბილისი. სტამბოლი, რა თქმა უნდა, ევროპის ქალაქია და ლამაზია, მაგრამ მიყვარს ძველი თბილისის სახლები. ჩემი მშობლიური რომ არის თბილისი, იმიტომ მიყვარს. პირველად 2002 წელს ჩამოვედი, ბაიარ შაჰინთან ერთად, „ჩვენებურების“ ფესტივალზე. სიმღერა მისგან ვისწავლე. ნათესაობის გარდა, სტამბოლში მეზობლობაც გვაქვს. 2004 წელს — მეორედ და მერე უკვე ხშირად ვიყავი საქართველოში. თვეში ორჯერ მოვდივარ თბილისში. სვანეთშიც ვარ ნამყოფი, მესტიაში. 2010 წელს, მუსიკის ფესტივალზე მოვხვდი. ზუმბაც მონაწილეობდა, მგონი, მისი მოწყობილი იყო. მაგარი ფესტივალია ძალიან. უშგულშიც ვიყავით, მაგარია სვანეთი. ორი თვის წინ, ფესტივალ „არტგენში“ მივიღე მონაწილეობა — მარიამ ელიაშვილთან ერთად ვიმღერე. ახლა ალბომს ვაკეთებ. საპატრიარქოს სტუდიაში ჩავწერე სიმღერები მერაბ მამონაშვილთან ერთად. ანსამბლ „გოგოჭურებთან“, „გორდელასთან“ ერთად ვწერ სიმღერებს. ჩემს ალბომს „გოქან ოზქანი“ ჰქვია. ახლა ბაიარ შაჰინის ანსამბლში ვარ. ჩემი მშობლები ბათუმში ყოფილან, მაგრამ თბილისში არა. დედას ძალიან აინტერესებს თბილისი. იქნებ, ერთხელ ჩამოვიყვანო. ჰო, კიდევ, ქართული საჭმელი: ხაჭაპური, ხინკალი, მწვადი, ლობიო ძალიან მიყვარს, ლობიო მჟავესთან ერთად. თბილისში ერთი ოჯახია, კიკნაძეები, როცა ჩამოვდივარ, სულ იქ ვარ... ისე, თურქეთში ოთხი მილიონი ქართველია. ყველამ თუ გაიცნო საქართველო, კარგი იქნება. ძალიან შეუყვარდებათ.

— თურქეთში ქართული დიასპორა მძლავრობს? ქართველებს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა გაქვთ?

— კი, როგორ არა. აქ ხელოვნების სახლებია. სტუდენტებიც ხომ არიან. ძველი ქართველები იკრიბებიან. ბათუმიდან ჩამოსული ქართველობაცაა. ქართველებით დასახლებული ბევრი ქალაქია. ხშირად ვიკრიბებით, კვირაში ერთხელ კონცერტებს ვმართავთ. სტამბოლშიც ჩამოდიან ქართველი მუსიკოსები. ახლახან იყო მარიამ ელიაშვილი, გიორგი ჩიტაურიც ჩამოვიდა და გამართეს კონცერტები. აქაურმა ხალხმა იცის, ვინ ვართ, ქართველობას არასოდეს ვმალავთ. ძალიან კარგი ურთიერთობებია. ერთ თვეში ჩემი ალბომი გამოვა და თურქეთში, ისევე როგორც საქართველოში, გაიყიდება. „დიდოვ ნანა“ არის მეგრულად. ჩვენი, ართვინის ცეკვის მელოდიებია აკორდეონზე გაკეთებული.... ჩვენ, ხომ იცით, მუსულმანები ვართ. ღვინო და ღორის ხორცი გვეკრძალება. იმასაც ვამბობ, ღმერთი ერთია და არ აქვს მნიშვნელობა ქრისტიანობას და მუსულმანობას. მთავარია, ადამიანობა იყოს.

პირველად რომ მოვედი, ცოტა ცუდი იყო ჩემთვის, მაგრამ მერე თვეში ორჯერ რომ ჩამოვდიოდი, გავხდი სუფთა ქართველი. ქართული სუფრა მიყვარს — თამადა, სადღეგრძელოები... რომ მღერიან სუფრაში. თურქეთში კი, ნახევარ საათში აკრეფენ სუფრას, უცებ შეჭამენ და ალაგებენ. მომავალში, ბათუმში ვაპირებ სახლის ყიდვას და საცხოვრებლად გადმოსვლას.

სუდოკუმანია

ადვილი

		9				7		
			7	6			1	9
2			5				4	3
	2		4			6		
9				3				4
		4			8		3	
1	4				7			8
7	9			5	1			
		2				3		

სტანდარტი

				2				
			4		7	3	9	8
		1	9	8			5	2
8	3				1			
6								1
			2				7	4
7	9			5	2	1		
4	5	6	1		9			
				4				

რთული

6	2				8	4		3
					7			1
3			4					8
	8		5					4
5					6		3	
8					9			6
2			1					
7		9	8				5	2

ექსპერტი

2		1		5				
	3		6			8		2
			7	2	9			1
3						7	8	
				6				
	5	6						4
8			1	4		9		
7		4			2		6	
				7		2		8

ვახშამში მარგალიტები აღმოაჩინა

იტალიის ფოსტის თანამშრომლის, ჯუზეპე დი ბიანკოსთვის უჩვეულო აღმოჩენით დასრულდა რომანტიკული ვახშამი რესტორანში საყვარელ გოგონასთან ერთად. იტალიელმა წინასწარ დარეკა რესტორანში Nonna Maria (მარია ბებო) და ვახშმისთვის უჩვეულო მოლუსკი შეუკვეთა. მაგრამ სამწუხაროდ, დაწესებულების სამზარეულოში ასეთი მარაგი არ აღმოაჩნდათ. შეყვარებულის გულისმოსაგებად მამაკაცი პროდუქტის მიმწოდებელს მოელაპარაკა და კერძისთვის საჭირო პროდუქტი მიატანინა. ახალგაზრდას ბედმა გაუღიმა — ხამანწკები ადგილობრივ ბაზარზე იყიდეს, რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით, საღამოს ჯერ კიდევ ღია იყო. თუმცა, ფორტუნა ამით არ შემოიფარგლა — შამპანურთან ერთად გახსნილ ხამანწკებში დი ბიანკომ შიგ ხუთი მარგალიტი აღმოაჩინა. ექსპერტების შეფასებით, ყოველი მათგანის ღირებულება 2 ათასი ევროა.

ბრიტანელებს „ჭკვიანი“ საათისთვის დააჯარიმებენ

მალე დიდ ბრიტანეთში მძღოლებს საჭესთან „ჭკვიანი“ Apple Watch-ის საათის გამოყენებისთვის დააჯარიმებენ. ასეთი ინიციატივით ბრიტანეთის პროფესიონალური მართვის ინსტიტუტი გამოდის. ექსპერტების მოსაზრებით, ამ გაჯეტის გამოყენება საჭესთან მძღოლს ყურადღებას უფანტავს და უშუალო გავლენას ახდენს მანქანის მართვის ხარისხზე. ამ შემთხვევაში მოწყობილობა არაფრით განსხვავდება მობილური ტელეფონისგან, რომლის გამოყენებაც საჭესთან ნისლიან ალბიონზე ჯარიმას ექვემდებარება. ქვეყნის ტრანსპორტის სამინისტროც ეთანხმება ექსპერტების მოსაზრებას და მალე ალბათ მიიღებენ კიდეც შესაბამის კანონს, რომლის მიხედვითაც ახალი გაჯეტის გამოყენებისთვის მძღოლებს ჯარიმას გამოუწერენ. არადა, Apple Watch ჯერ გაყიდვაში არ არის, მისი შეძენა მხოლოდ მომავალი წლის დასაწყისში იქნება შესაძლებელი.

კიბორჩხალებს ავტომატში ყიდიან

ჩინელებმა კიდევ ერთი უცნაურობა მოიფიქრეს — ცოცხალ კიბორჩხალებს ავტომატით, როგორც „კოკა-კოლას“ ბოთლებს ყიდიან. პირველი ასეთი „კიბომატები“ ქალაქ ხანჩჟოუში გაჩნდა. კიბორჩხალებს ავტომატში ყოველდღე აახლებენ და თითოეულს 20 იუანად (სამ დოლარზე მეტი) ყიდიან. სურვილის მიხედვით, მყიდველს შეუძლია მდედრი ან მამრი კიბო აირჩიოს. შენაძენს მოყვება ძმარი და ორი პაკეტი კოჭას ჩაი. ასეთ აპარატში ტემპერატურა 5-10 გრადუსის ფარგლებშია. ასე კიბორჩხალებს ძილის მდგომარეობაში ინახავენ, თუმცა ზოგჯერ ილვიძებენ და კლიენტს ფეხების მოძრაობით აფრთხობენ.



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	1	3	8	9	7	2	5	4
5	9	4	6	3	2	1	8	7
7	2	8	1	5	4	3	9	6
3	8	1	7	6	5	9	4	2
2	7	5	4	1	9	8	6	3
4	6	9	2	8	3	7	1	5
1	4	7	5	2	8	6	3	9
9	5	6	3	7	1	4	2	8
8	3	2	9	4	6	5	7	1

სტანდარტი

9	1	7	2	6	3	4	8	5
3	4	8	5	1	7	6	2	9
2	6	5	4	9	8	3	1	7
1	3	9	8	7	6	2	5	4
8	5	6	9	4	2	1	7	3
7	2	4	3	5	1	9	6	8
6	9	3	7	2	5	8	4	1
5	8	2	1	3	4	7	9	6
4	7	1	6	8	9	5	3	2

რთული

9	3	2	8	7	6	5	4	1
1	6	8	5	9	4	7	3	2
7	5	4	2	3	1	8	9	6
5	4	1	6	2	9	3	8	7
6	8	3	4	5	7	2	1	9
2	9	7	3	1	8	6	5	4
8	7	6	1	4	5	9	2	3
4	2	5	9	6	3	1	7	8
3	1	9	7	8	2	4	6	5

ექსპერტი

5	9	8	6	7	4	3	2	1
2	1	7	3	5	9	6	4	8
6	4	3	2	1	8	9	7	5
3	2	1	8	4	7	5	9	6
4	8	9	5	6	3	2	1	7
7	6	5	1	9	2	8	3	4
9	5	6	7	3	1	4	8	2
8	7	4	9	2	6	1	5	3
1	3	2	4	8	5	7	6	9

ადვილი

4	3	2	1	8	9	5	7	6
8	7	9	6	5	4	3	2	1
1	6	5	7	3	2	4	9	8
6	4	3	5	2	7	8	1	9
7	2	1	4	9	8	6	5	3
5	9	8	3	6	1	2	4	7
3	1	7	2	4	6	9	8	5
2	8	6	9	1	5	7	3	4
9	5	4	8	7	3	1	6	2

სტანდარტი

1	6	9	8	3	2	7	5	4
2	5	4	1	7	6	3	9	8
3	8	7	9	5	4	6	1	2
5	4	2	6	1	9	8	3	7
9	1	8	7	4	3	2	6	5
7	3	6	2	8	5	9	4	1
8	2	3	5	9	1	4	7	6
6	9	1	4	2	7	5	8	3
4	7	5	3	6	8	1	2	9

რთული

8	3	9	2	7	1	6	5	4
7	6	4	5	3	9	2	8	1
5	2	1	8	6	4	9	7	3
1	7	3	9	8	6	4	2	5
6	9	2	4	1	5	8	3	7
4	8	5	3	2	7	1	9	6
9	5	8	6	4	3	7	1	2
2	4	7	1	5	8	3	6	9
3	1	6	7	9	2	5	4	8

ექსპერტი

8	9	4	1	3	7	6	2	5
6	7	5	2	8	9	4	3	1
3	2	1	6	5	4	9	8	7
4	1	2	8	9	3	5	7	6
9	8	6	7	1	5	3	4	2
7	5	3	4	2	6	1	9	8
2	4	9	5	7	1	8	6	3
1	3	8	9	6	2	7	5	4
5	6	7	3	4	8	2	1	9

მე-10 გვერდი: 1. სარკოფაგი; 2. პელოტა; 3. სემიპალატინსკი; 4. რაუტი; 5. ოკაპი; 6. პომადა; 7. ლირიკა; 8. ტოლი; 9. ამპულა; 10. „როინიში“; 11. ზუა; 12. მარალი; 13. „იმპალა“; 14. არხარი; 15. პრიზი; 16. რემა; 17. ტოტემი; 18. ოპუნცია; 19. დოკი; 20. პაი; 21. ტაო; 22. ხარაჯა; 23. რეზერვაცია; 24. აჯა; 25. ლიტაო; 26. „ონა“; 27. ისაკაძე; 28. მტვერსასრუტი. 29. დრაგომანი; 30. ლეი; 31. ატიტიუდი; 32. ეში; 33. სეტერი; 34. ზაქი; 35. კრეიგი; 36. აკმე; 37. რუჯი; 38. „ქაჯანა“; 39. ანიმაცია; 40. ელფი; 41. ჭიანური; 42. ლენცი; 43. ტიკი; 44. ჭალა; 45. ისიანი; 46. ომანი; 47. ვეტო; 48. იკონოთეკა; 49. პკე; 50. ისლი; 51. სიძე; 52. კაენი; 53. მიხო; 54. აგნესა; 55. ეული; 56. ნოინი; 57. აალტო; 58. ნესი; 59. აის; 60. კანცონა; 61. ბენცი; 62. კუჭი; 63. იურა; 64. მაო; 65. რემბო; 66. ლუნა; 67. კარაოკე; 68. არ; 69. ინტი; 70. ტერ; 71. ეკო; 72. მასნე; 73. ილი; 74. შუბი; 75. ივ; 76. პიტიახში; 77. პური; 78. კუ; 79. ცელიბატი; 80. ურალი; 81. მიაუ; 82. ელდა; 83. ირი; 84. ინოვაცია; 85. მუხა.

მე-12 გვერდი: 1. არქიმანდრიტი; 2. ბირდაბირი; 3. კრიკეტი; 4. კანოე; 5. რიტორიკა; 6. იაილო; 7. ქრისტიანობა; 8. ალმოდოვარი; 9. დირიჟორი; 10. იკაროსი; 11. აკრობატი; 12. „ნოკია“; 13. მურტალო; 14. ალო; 15. გიაური; 16. ობი; 17. საიგაკი; 18. აგატი; 19. ბობ; 20. დაჟბოგი; 21. სიესტა; 22. ვირაჟი; 23. სოლ; 24. უზი; 25. ავგია; 26. ორე; 27. ვარძია; 28. აული; 29. ქლიავი; 30. გეტრი; 31. ტრემბიტა; 32. ბატალია; 33. ტონა; 34. ურო; 35. ბინდი; 36. რქა; 37. ინინი; 38. სკუფია; 39. ბულიკა; 40. იალი; 41. ფინია; 42. ავენტინი; 43. ელ; 44. ატა; 45. კენია; 46. კოდა; 47. ილია; 48. ჟანრი; 49. არ; 50. ია; 51. ნეი; 52. ორნელა; 53. ატილა; 54. ვია; 55. დიტრიხი; 56. მატე; 57. ხალიფა; 58. კანტელე; 59. აარე; 60. გეა; 61. აისი; 62. ისრიმი.

1. დარტანია-ნის სატრფოს სახელი
2. დიდი ნემსი
3. რომის ერთ-ერთი ბორცვი
4. სამაგიდო თამაში
5. აზროვნების ორგანო
6. გავე-ლურებული ცხენი
7. გამანად-გურებელი ცეცხლი
8. „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი ... ორბელიანი
9. სიჩქარის ერთ-ბაშად და მკვე-თრად გაზრდა მძლეოსნობაში
10. ფეხბურ-თის მატჩის ნახევარი
11. ირანში სამეფო სახ-ლის წევრე-ბის ტიტული
12. ნერონის აღმზრდელი ფილოსოფოსი
13. მუს-ლიმანთა სალანძღავი სიტყვა
14. ბეჩუნის გვარი „დათა თუთაშხიაში“
15. ამერიკელი მუსიკოსი ... დილანი
16. პოლ გასკოინის მეტსახელი
17. არაჩვეუ-ლებრივი ნიჭის მქო-ნე ბავშვი
18. ბიბლიური მოსეს ძმა
19. ქალაქი თურქეთში
20. მართლ-მადიდებელ მამათა დიდი მონასტერი
21. მარტოხ-ელა, უთვის-ტომო ბიჭი
22. მოსკოვის ერთ-ერთი მდინარე
23. დიდი ესპანელი მხატვარი
24. ბუქა-რესტის საფეხბურთო კლუბი
25. არაფრის გამკეთებელი, ზარმაცი
26. ესმერ-ალდას თხის სახელი
27. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
28. ... ქვაშავიძე „სამანიშვილის დედინაცვალ-ში“
29. ჭოროხისა და მტკვრის აუზების წყალ-გამყოფი ქედი
30. მუსლი-მანთა წმინ-და ტაძარი მექაში
31. მიწაში ამოთხრილი ადგილი
32. ინგ-ლისელი მომღერალი
33. ზღვრული ნორმა
34. გადამდები დაავ. მუდ. არ-სებ. რომელიმე მხარეში
35. სინამდვი-ლის მართალი ასახვა ხე-ლოვნებაში
36. ბევრი და უაზრო ლაპარაკი
37. ხის საჭრისი, რომელსაც მოქანდაკეები იყენებენ ძერწვისას
38. კაზაკთა ჯარის წი-ნამძღოლი
39. ავადმყოფო-ბის მოვლენათა დროებითი შესუსტება
40. ევროპელი ებრაელების ენა
41. ერთ-ერთი ურჩხული ბერძნულ მი-თოლოგიაში
42. სქელი მურაბა
43. ჰოლან-დიელი ფეხ-ბურთელი და მწვრთნელი
44. ცხიმოვანი სიმსივნე
45. პუშკინის გადიის სახელი
46. ამერიკელთა მეტსახელი
47. შერეული (ქალის და ვაჟის) წყვილი ჩოგბურთში
48. ნაყინ-შერეული ყავა
49. გერდას მეგობარი ბიჭუნა ზღაპარში „თოვლის დედოფალი“
50. მნიშვნელოვა-ნი აზრი, ჩანაფიქრი
51. ალ. ყაზბეგის მოთხრობა
52. ციხე-სიმაგრე „ჰამლეტში“
53. იგივეა, რაც ფირნიში
54. მაღალი თანამდებო-ბის პირის მხლებლები
55. უფლის მიერ შერისხუ-ლი ერთ-ერთი ქალაქი
56. შავი „ობობასებრი“ მაიმუნი
57. მომცრო მგალობელი ფრინველი
58. პედრო ალმოდოვარის ფილმი
59. საქონლის საკვები ბალახი
60. გა-მოჩენილი ნორვეგიელი დრამატურგი
61. ხმელთა-შუა ზღვის ნაწილი
62. თავბრუს-ხვევა
63. ჰაკერის სახელი „მატ-რიცაში“
64. ტიბ-ეტური ხარი
65. ჰოლივუ-დის მსახიობი ... ბრინერი
66. იგივეა, რაც მწკრივი
67. ქვეყნის ნაწილი
68. ფრან-გული ვაზის ჯიში
69. დედამიწის ქალღმერთი
70. მთა თბილისთან
71. ნორვეგი-ული მუსიკის კლასიკოსი
72. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში
73. ვაზების მწკრივი ვენახში
74. პერუს დედაქალაქი
75. წყალსა და წებოში გახსნილი საღებავი
76. ინგლისის ნაკრების კაპიტანი ... რუნი
77. სიმბას სატრფო და ცოლი ამერიკულ მულტ-ფილმში „მეფე ლომი“
78. ბანქოს ერთვარი თამაში
79. სოფელი ქედის რაიონში
80. წყალქვეშა კლდე
81. ჯარების მართვის ორგანო
82. ჯუზეპე ვერდის ცნო-ბილი ოპერა
83. ისტორი-ული სოფელი გარეკახეთში
84. ზევსის ერთ-ერთი სატრფო

ღამე მუშაობა რეპროდუქციას აქვეითებს

ბრიტანელმა სწავლულებმა ღამის ცვლაში ქალბატონების მუშაობასა და შობადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის კავშირი აღმოაჩინეს. საუთჰემპტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ, როცა სუსტი სქესის წარმომადგენლები არანორმირებულად მუშაობენ საღამოს და ღამის საათებში, რეპროდუქციული ფუნქციის კლების რისკი 80%-ით იზრდება. ჩატარებული კვლევებისას სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ქალების თითქმის 30%-ს, რომლებიც მხოლოდ ღამის ცვლაში მუშაობდნენ, უშვილობის რისკი უფრო მაღალი ჰქონდათ, ხოლო იმ მანდილოსნების 22%-ს, ვინც განსხვავებულ ცვლებში მსახურობდა, ბიოლოგიური საათი დაერღვათ, რამაც ასევე შესაძლოა რეპროდუქციასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვას.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6			8	7				3
	3			2			7	
			5				2	1
8	9							7
		6		9		4		
4							8	9
3	6				2			
	7			5			3	
1				3	7			8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	5				1			7
		2	8					
	8			4			3	
	4	1	5				9	
8			6		7			5
	2				9	3	6	
	7			3			2	
					4	8		
2			9				7	

ᲠᲗᲣᲚᲘ

				8				6
9	8				5		2	
			4				8	
		1	8	9				3
6	4			1			9	8
2				5	4	1		
	2				3			
	5		6				1	2
4				2				

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

			6		7		2	
	2					9		6
7	1		2					3
9				1		3		7
	7						9	
4		3		7				8
2					4		6	9
8		9					3	
	3		1		9			

კლიენტებს სასტუმროს ლოკვა აუკრძალეს

ბოლივიაში მდებარე ოტელ პალასიო-დელ-სალის კლიენტების ცნობისმოყვარეობას, შეამოწმონ, მართლაც მარილისგანაა აშენებული თუ არა, შენობა დანგრევისკენ მიყავს. სწორედ ამიტომ, მის ყველა ბინადარს კატეგორიულად ეკრძალება კედლების ალოკვა. მარილის სასტუმრო ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდაა აღიარებული, მასში უბრალოდ ყოფნაც კი ასუფთავებს ფილტვებს, ამაღლებს ტონუსს, ორგანიზმი ივსებს მინერალური ნივთიერებების მარაგს. ოტელი სოლარ დე უიუნიში — მსოფლიოს უდიდეს მარილის უდაბნოშია განთავსებული. შენობის ასაშენებლად მხოლოდ ეს „თეთრი სიკვდილი“ გამოიყენეს, მისგან არის გაკეთებული პრაქტიკულად ყველაფერი — ჭერი, იატაკი, კედლები. ავეჯიც კი მარილის პატარა ბლოკებისგანაა შექმნილი. ამ საქმეში მთლიანობაში 10 ათასი ტონა მარილი დაიხარჯა. აქ დაბინავებულ ტურისტებს, გარდა თავად სასტუმროსი, გასართობად მარილის საბადოების დათვალიერებაც შეუძლიათ, გოლფით გართობაც, აქვეა ორთქლის აბანოები და საუნა, აუზი ზღვის წყლით და ჯაკუზი. ასევე მსურველებს სპა-პროცედურების სრული კურსის გავლაც შეუძლიათ, რომელიც გარშემო მდებარე მარილის გამოყენებას ეფუძნება.

პანამა – უველაზე ბედნიერი ქვეყანა

მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგს ცენტრალური ამერიკის ქვეყანა — პანამა ჩაუდგა სათავეში. რეიტინგი კომპანიამ Gallup-Healthways შეადგინა. პანამის გარდა, ბედნიერი ქვეყნების ტოპ-ათეულში შევიდა ასევე კოსტა-რიკა, დანია, ავსტრია, ბრაზილია, სალვადორი, ურუგვაი, შვედეთი, კანადა და გვატემალა. ყველაზე უბედური ქვეყანა კი სირია აღმოჩნდა. მის ხვედრს იზიარებს ავღანეთი, ჰაიტი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მადაგასკარი, უგანდა, ბენინი, ხორვატია. ამავე ათეულის ბოლოს მოვხვდა საქართველოც. Gallup-Healthways-ის ე.წ. კეთილდღეობის გლობალური ინდექსი ქვეყნებს აფასებს ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მოქალაქეების ფინანსური კეთილდღეობა, რამდენად დაცულად გრძნობენ თავს, ახლობლებთან ურთიერთობა, ცხოვრების მიზნის შეფასება და ფიზიკური ჯანმრთელობა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ უბედური ქვეყნების რიცხვში ხშირად ხვდება ქვეყნები, სადაც შეიარაღებული კონფლიქტებია. ამასთან, ბედნიერების დონეზე ხშირად გავლენას ახდენს მენტალიტეტის თავისებურებები. მაგალითად, ბედნიერების ყველაზე მაღალი ინდექსი ლათინოამერიკულმა ქვეყნებმა აჩვენა. ვარაუდობენ, რომ ეს მათი ოპტიმისტური ნაციონალური თვისებითაა გამოწვეული.

მაღალ ქუსლებზე ინექცია შეგეშველებათ



ბოლო დროს საკმაო პოპულარობა მოიპოვა ახალმა ბიუთი-ტრენდმა, რაც ტერფში კოლაგენის ინექციას გულისხმობს. ეს მანდილოსნებს საშუალებას აძლევს, მთელ დღეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით იარონ და დაღლა ვერ იგრძნონ. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე კოსმეტოლოგია მზადაა, გარეგნობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა მოაგვაროს. თმის ღერიდან დაწყებული, ტერფით დამთავრებული. როგორც თითქმის ყველა კოსმეტიკური ნოვაცია, ეს სიახლეც ამერიკაში დაიბადა. სწორედ აშშ-ში მოიფიქრეს, ფეხის ტერფში კოლაგენი შეეყვანათ, რომელიც ერთგვარი „ბალიშის“ ეფექტს იძლევა. ამ „ბალიშის“ წყალობით, „შპილკებზე“ სიარული გაცილებით მარტივდება. ინექციის ამ სახეობას ჟოუბ ჟობ უწოდეს, ფეხსაცმლის ცნობილი დიზაინერის, კრისტიან ლუბუტენის პატივსაცემად. ეს უკანასკნელი ყოველ წელს, მოდის მიმდევრებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ახალ-ახალ მოდელებს სთავაზობს. ამერიკაში ამ კოსმეტიკური პროცედურის გამოყენება გასული წლიდან დაიწყო და მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება, წელს ინექციების მსურველი მანდილოსნების რიცხვმა 21%-ით იმატა. შესაძლოა, ეს იმ ფაქტს უკავშირდებოდეს, რომ პროცედურა Loub Job თითქმის უმტკივნეულოა, სულ 20 წუთს გრძელდება, მისი ეფექტი კი ნახევარ წელიწადს გაგყვებათ — 15-სანტიმეტრიანი ქუსლები შეგიძლიათ გაუხდელად ატაროთ. პროცედურა დაახლოებით 320 გირვანქა სტერლინგი ღირს, თუმცა ეს ყველაფერი არც ისე „უღრუბლოა“, როგორც ჩანს. მედიკოსები საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილნი სიახლის მიმართ. მათი თქმით, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის დიდი ხნით ტარება სისხლძარღვების პრობლემას გამოიწვევს. ქალებს ადრეულ ასაკშივე შეაწუხებს ართროზი და ვარიკოზი, შეიძლება, მუცელიც გაუჩნდეთ, რადგან ასეთი ფეხსაცმელი გამუდმებით წელის დახრილობას მოითხოვს. ასე რომ, მშვენიერი სქესის გადასაწყვეტია, სილამაზეს ჯანმრთელობას ანაცვალებენ თუ არა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სასმელის გამო ჰომოსექსუალობა დასწამეს

კამერუნის სასამართლომ ჰომოსექსუალიზმში დამნაშავედ სცნო მამაკაცი, რომელმაც ნაღების ლიქიორი „ბეილისი“ დალია. აქაური თემიდას მსახურები მიიჩნევენ, რომ „ქალების“ ალკოჰოლური სასმელის მიღება „დამნაშავის“ არატრადიციულ ორიენტაციაზე (კამერუნში ეს კანონით დასჯადია) მიუთითებს. სად დალია მამაკაცმა „ბეილისი“ ან ვინ „ჩაუშვა“, უცნობია. ქვეყანაში ერთსქესიანი ურთიერთობები კანონით ისჯება 1972 წლიდან. ჰომოსექსუალიზმისთვის სასჯელს, როგორც წესი, ირიბი ბრალდების საფუძველზე იხდიან ხოლმე. სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილს ხუთ წლამდე პატიმრობას უსჯიან. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი წლით მოხვდება გისოსებს მიღმა ნაღების ლიქიორის მოყვარული კამერუნელი.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

1. ელჩზე დაბალი დიპლომატ. წარმომადგ. 2. რომის ერთ-ერთი ბორცვი 3. უბე-დურებათა ყუთის მფლობელი 4. ხრუშჩოვის სახელი 5. მარინე ფერაძის მეტსახელი (ფილმი) 6. ბრა-ზილიის ვალუტა 7. ცხენის ხმიანობა 8.ძველი ასურეთის დედაქალაქი
9. სკვითების მახვილი 10. ბიზანტიის იმპერა-ტორი 11. მუხის ნაყოფი 12.სხეულის რომელიმე ორგანოს დაპატარ. 13. ჩაქაფულის შესაკაზმი მწვანილი 14. დიონისეს კვერთხი 15.დაბალ-ბეწვიანი ძაღლის ჯიში 16. ურიელ აკოსტას სატრფო 17.საფ-რანგეთის სამეფო დინასტია
18. ესპან. პოეტი და დრამა-ტურგი 19. სამხედრო ნადავლი 20. სწრაფი თავდასხმა, შეტევა 21. დამუხ-ტული ატომი
22. სამოქ ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია 23. ორ-სულობის ხელოვნური შეწყვეტა 24.წმინდა ნინოს დედის სახელი 25. სამოას დედაქალაქი
26. ვაშლის ღვინო 27.სათამა-შო კოჭის მთავარი მხარე 28. ქართ. საღვინე ვაზის ჯიში 29. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში 30. ფარფლ-ფეხიანი ცხოველი 31.პომპეის გამნადგუ-რებელი ვულკანი 32. ჯულიეტა მაზინას კინოროლი
33. მომკილი თავთავის კონა 34. ქართული ლიტერატ. პრემია 35. ნადირობა აფრიკაში 36. დიდი ჩაქური 37. შვიდის მომდევნო რიცხვი
38.დარდი-მანდიანცის სახელი „ხანუმაში“ 39. ელე-ქტრული განმუხტვა ატმოსფერ. 40. ზრდი-ლო-ბიანი დასტური 41. ფასიანი ქაღალ-დების გამოშვება
42. მღვდ-ლის ცოლი 43.ყველაზე მსხვილი სისხლ-ძარღვი 44. ვარდების ქალაქი ირანში
45.ანდებში მობინადრე მტაცებელი ფრინველი 46. სახოტბო ლექსი 47.ინგლ. მუსიკოსი ... ოსბორნი 48. დანანების გამომხ-ატველი შორისდებული 49.(აბრევ.) ეროვნული საკალთმ. ასოციაცია 50. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“ 51. ჩარლი ჩაპლინის ბოლო მეუღლე
52. სარწყავად გაჭრილი პატარა არხი 53. გადა-შენებული მორბენალი ფრინველი 54.ბერძნ. ანბან. ასო 55.ბოსნიის დედაქალაქი
56. ბაქტ. უჯრედის დამაზიანებ. ვირუსი 57. მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება 58. ვიო-ლინოების იტალიელი ოსტატი 59. ჰემორაგიული ცხელების გამომ-წვევი ვირუსი 60. გამოუვალი მდგომა-რეობა 61. ტბა ფინეთში 62. ფრედი მერკურის ჯგუფი

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.